რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 23 იანვარი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

ტელეფონი 16—62.

№ 17 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 17

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ „ერთობა“-ზე

**ხელის მოწერის პირობები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი თვით | — 4 მან. 50 კაპ. | ექვსი თვით | — 27 მანეთი |
| ორი თვით | — 9 მანეთი. | ერთი წლით | — 50 მანეთი |
| სამი თვით | — 13 მან. 50 კაპ. | ცალკე ნომერი უცვლელად 20 კაპ. | |

გაზეთის დაკეთა შეიძლება ფოსტით: Тифлисъ, почт. ящикъ № 199. Редакция „Эртоба“.

სამკურნალო კაბინეტი

# კეკელიასი

ექიმი

## დ. ი. ჟორდანია

ექიმი

## გ. გ. მუხაძე

# შეიარაღდით

## ამხანაგებო და მოქალაქენო!

ჩვენმა პარტიამ და ამიერ-კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების საოლქო ცენტრმა უკვე გადასწყვიტა და გადადგა ნაბიჯი რევოლიუციის დამცველი ჯარის შესადგენათ.

ემზადეთ და თქვენი კანონიერ მთავრობის პირველ მოწოდებაზე გამოცხადდით თქვენი მოვალეობის ასასრულებლათ. არც ერთი კაცი, ვინც კი მოწვეული იქნება, სახლში არ უნდა დარჩეს.

ასეთია თქვენი რევოლიუციონური მოვალეობა.

ღრმად დამწუხრებულნი ... აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ... გარდაცვალებას

## მარგალიტა იონას ასულ სოსელიას

(1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ... აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ... გარდაცვალებას

## ქიჭიკო ლასას ძე პალავანდის

(1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ... აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ... გარდაცვალებას

## ნესტორ გ. მაისაშვილის

(1—1)

ცოლის ძმები: იაკობ, ლევანტი და აბათარ ლ. სირაძენი და რძლები: ოლღა ე. და ქრისტინე ბ. ასულნი სირაძისანი დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარის სიძის

## ნესტორ გ. მაისაშვილის

უდროოდ დაკარგვას. (1—1)

სამშაბათს 23 იანვარს, საღამოს 6 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია თფილ. მუშათა და ჯარ. დეპ. საბჭოს მუშათა სექციის

# აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა

**დღის წესრიგი:** 1) არჩევნები კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს მუშათა ის კათეგორიები, რომელნიც სარგებლობენ დამატებითი პურის რაციონით; 2) ბეჭდვითი საქმის მუშათა ტარიფის უფლებრივი დებულების განხილვა; 3) ოთხი წარმომადგენლების არჩევა შრომის კომისარიატის მუდმივ საბჭოში; 4) სექციის სხდომის დღეების დანიშვნა: 5) სამხედრო-სანიტარულ კომისიისთვის ორი წევრის არჩევა; 6) ამხ. თუმანოვის მოხსენება საოლქო ბირჟის შესახებ; 7) პრეზიდიუმის არჩევნები; 8) ექიმ გოლპერშტეინის მოხსენება მუშათა სამედიცინო დახმარებაზე; 9) მიმდინარე კითხვები. რადგან კრებაზე ძლიერ საყურადღებო საკითხებია გასარჩევი, ვსთხოვთ მუშათა სექციის აღმასრ. კომიტეტის ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ კრებას დანიშნულ დროზე.

(2—2) პრეზიდიუმი.

# საქართ. კოოპერატ. საყურადღებოთ

**საქართველოს ეროვნული საბჭოს** თაოსნობით 2 თებერვალს თფილისის გუბერნიაში (ქუთაისის გუბერნიის და ბათომის მიდამოების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული) მოწვეულია ყოველგვარ ტიპის (საკრედიტო, მწარმოებელი, გამსაღებელი და მომხმარებელი) **კოოპერატივების შეერთებული სამაზრო ყრილობა.** ყრილობას უნდა დაესწროს თვითეულ კოოპერატივის, სარაიონო, სამაზრო, საქალაქო, საგუბერნიო და ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირების თითო წარმომადგენელი (შეიძლება მეტიც). განსახილველი საგანია: 1) საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფინანსიური დახმარების აღმოჩენა, 2) საზოგადოდ კოოპერატივების მონაწილეობა ხალხში ფინანსიურ ორგანიზაციების შესაქმნელად ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ. კრებები მოხდება ყველგან 2 **თებერვალს**, ყველგან დილის სრულს 11 საათზე და დაესწრება თფილისიდან საქ. ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი: **გორის მაზრის კრება** ქალაქ გორში საკრებულოს დარბაზში. **ზაქათალის და სიღნაღის** სიღნაღში ქართულ დარბაზში. **თელავის და თიანეთის** თელავში შემნახველ გამსესხებელი ამხ. **ახალციხე-ახალქალაქის** ახალციხეში კოოპ. „მესხეთში“. **თფილისის** თფილისში ეროვნულ საბჭოში. **დუშეთის** დუშეთში საკრებულოში. კრების გადადება შეუძლებელია. საბჭოს სექციის მოწოდება ყველა კოოპერატივს დაეგზავნა ფოსტით. თუ ფოსტის მიზეზის გამო რომელიმე კოოპერატივმა არ მიიღო მოწოდების ფურცელი, კოოპერატივებმა უნდა იხელმძღვანელონ გაზეთში მოთავსებულ განცხადებითაც და თავისი წარმომადგენელი უეჭველად გაგზავნონ კრებაზე დანიშნულ დროს და ადგილს.

(7—2) ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.

# სალამი სეიმს

დღეს იწყებს მუშაობას ამიერ-კავკასიის საოლქო სეიმი.

შავ-ბნელ დღეებში იშვა ის. მისი დანიშნულება, როგორც დემოკრატიის პირმშო შვილის, საერო რევოლიუციონურ ფრონტის შექმნაა. მიუხედავათ ამისა, გარეგნულათ მას გათიშვის, განცალკევების ბეჭედი აზის.

მან უნდა მოაწყოს ამიერ-კავკასიის ცხოვრება რუსეთის საერთო დემოკრატიის დაუკითხავათ. ამაშია ტრაგიზმი მისი მდგომარეობის.

ამიერ-კავკასია რუსეთის რესპუბლიკის ნაწილია, მისი შეგნებული ერები რუსეთის დემოკრატიისკენ იცქირებიან, მისი შემწეობით ფიქრობენ დიად საკაცობრიო რეფორმების ცხოვრებაში გატარებას.

მთელი თერთმეტი თვე უცდიდა ჩვენი კუთხე რუსეთის საერთო დამფუძნებელ კრების მოწვევას და მის შემწეობით ადგილობრივ საქმეების მოწესრიგებას ელოდა. ეს მოლოდინი დღესდღეობით ოცნებათ არის გადაქცეული. „ქვეყნის პატრონი“ დამფუძნებელი კრება ბალშევიკების უპასუხისმგებლო „მთავრობამ“ გარეკა და ქვეყანა ანარქიის ალში დატოვა გახვეული.

ეს ანარქია, არევ-დარევა, რომელიც საშინელი მტერია რევოლიუციის, ჩვენც წალეკვას გვიქადის. საკუთარი თავის მოვლა, ადგილობრივ ცხოვრების მოწყობა და ამ გზით საერთო მდგომარეობის გამოკეთებისთვის ხელის შეწყობა — ასეთია ჩვენი მოქმედების გეგმა ამ ხანებში. ასეთს გზას უნდა დაადგეს, ჩვენის ფიქრით, სეიმიც.

უპირველეს ყოვლისა მან უნდა მოსპოს ის სენი, რომელსაც მთავრობის სისუსტე ეწოდება. მაგარი მთავრობის შექმნა—ასეთი უნდა იყოს მისი პირველი ნაბიჯი.

მაგრამ ყოველი მთავრობა ძალთა-განწყობილების ნაყოფია. მთავრობა, რომელიც არ ეყრდნობა რომელიმე რეალურ ძალას დიდხანს ვერ იარსებებს.

საუკეთესო ძალა კი—ხალხის ფართო მასის თანაგრძნობაა. უამთანაგრძნობოთ ვერც ერთი მთავრობა ვერ იარსებებს, მით უფრო ვერ იარსებებს ამიერ კავკასიის მთავრობა, სადაც მრავალს, განათლების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ერებს მოუყრიათ თავი.

ორი უდიდესი საკითხი, ჩვენის ფიქრით, დაუყოვნებლივ უნდა გადასჭრას ამიერ კავკასიის სეიმმა—ესაა მიწის საკითხი და ზავი.

მიწის საკითხით დაინტერესებულია ხალხის დიდი უმრავლესობა.

მართალია, ამიერ კავკასიის კომისარიატმა უკვე გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ, მაგრამ თავი და თავი საქმე— მიწის განაწილება და მოწესრიგება— ჯერაც არ მომხდარა.

სეიმს შეუძლია ამ კითხვის გარშემო შემოკრიბოს მთელი ამიერ კავკასიის გლეხობა, ჩაბეროს მას თვითმოქმედების სული და შეჰკრას ერთ დიდ ოჯახათ, რომელიც რევოლიუციის საიმედო ბურჯათ გადაიქცევა.

მეორე დიდი საკითხი, რომელიც ეხლავე უნდა დასვას სეიმმა, — ეს ზავის საკითხია.

ომის მიერ გამოწვეული არევ-დარევა უმაღლეს წერტილს აღწევს. ზავის ჩამოგდება ერთნაირ სულიერ მოთხოვნილებათ გადაექცა ყველას. გარდა ამისა, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ არსებული ძალთა განწყობილება, უნდა ვისარგებლოთ იმ გარემოებით, რომ ოსმალეთი დღეს უძლურია და ზავი ჩამოვაგდოთ, მანამ ის რაიმე კომბინაციების შემწეობით ძალებს მოიკრებდეს.

ერთი სიტყვით, ზავი და მიწის საქმე —ასეთია ორი უმთავრესი საკითხი, რომლის გადაჭრას დაუყონებლივ უნდა შეუდგეს სეიმი, რომ ამით შეიძინოს საიმედო ძალა, ხალხის სიყვარული და თანაგრძნობა, რომ შეიქმნას საერო, ხალხის ყოველმხრივი, პირდაპირი, თანასწორის და ფარულის კენჭით არჩეულ ორგანოს—ასეთია ჩვენი შეხედულება.

მართალია, სეიმის დეპუტატები რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის არიან არჩეული და ამიტომ მათი რიცხვიც მცირეა, მაგრამ საქმე რიცხვი კი არ არის, არამედ მდგომარეობისთვის ანგარიშის გაწევა და ეს მდგომარეობა ისეთია, რომ სეიმი დღესვე უნდა არსებობდეს, სანამ ახალი არჩევნები მოეწყობოდეს. დროებით კი შეიძლება წარმომადგენლობის გაძლიერება, დეპუტატთა რიცხვის გამრავლება იმის მიხედვით, თუ რომელმა პარტიამ რამდენი ხმა მიიღო ამ არჩევნებში. ეს, ასე ვთქვათ, ტეხნიკური საკითხია და მას პრინციპიალური ხასიათი აქვს.

ჩვენი ცხოვრების მოწყობა-განახლების საქმეში ახალი ხანა დგება. სეიმი მისი ორგანოა. ის უკვე შეუდგა მუშაობას.

სალამი სეიმს.

# საჭიროა შეიარაღება

ხალხის შეიარაღება აუცილებელ და საჭირო საქმეთ გადაიქცა. დღეს ამიერ-კავკასიის რევოლიუცია და რევოლიუციონური დემოკრატია გასაჭირშია და მას შინ და გარედან სერიოზული საფრთხე მოელის.

ამიტომაც საოლქო კომიტეტმა და პარტიულ ყველა ორგანიზაციებმა, აგრეთვე ამიერ-კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების საოლქო ცენტრმა დასახელებულ ნიადაგზე უკვე გადადგა გაბედული ნაბიჯი და რევოლიუციის დამცველი ჯარის შედგენა გადასწყვიტა.

რევოლიუციონურმა ცენტრებმა 19 იანვრის საგანგებო კრებაზე დაადგინეს ექვსი თვის ვადით სამსახურში გაიწვიონ ჯანმრთელი ახალგაზდები ცხრამეტი წლიდან ოცდახუთ წლამდე. არავის შეღავათი არ მიეცემა გარდა ოჯახის მარჩენალთა და ზოგიერთ, ყველასათვის საჭირო სამუშაოზე მომუშავეთა.

რევოლიუცია არ დასრულებულა. უკვე ნაძირალებმა, ლუმპენ პროლეტარებმა და ქურდ-ბაცაცებმა თავი წამოყვეს და მათ თარეშის გარშემო რეაქციონური ძალები თავს იკრებენ. ანარქია და არევ-დარევა მონარქიის მშობელია და რევოლიუციონური წყობილების და წესის დანგრევით რეაქციონერები ისარგებლებენ და თავიანთ საქმეს გააკეთებენ.

ყოველ რევოლიუციაში ბურჟუაზიული და რეაქციონერების კონტრ-რევოლიუციონური ძალები მხოლოდ და მხოლოდ ბნელ ძალებზე ემყარებიან და ამათი მეოხებით ამარცხებენ რევოლიუციას, ლუმპენ პროლეტარების დახმარებით ართმევენ ხალხს მოპოვებულ თავისუფლებას. საფრანგეთის მეორე რევოლიუციის დროს საფრანგეთის ბურჟუაზიამ პარიზის ლუმპენ-პროლეტარები შეაიარაღა. მათ ფული და გარყვნილი ქალები დაურიგა და ამათი საშუალებით დაამარცხეს რევოლიუციონური პროლეტარიატი. დამთვრალმა, გაუნამუსებულმა ლუმპენ - პროლეტარებმა პარიზის ქუჩებში მებრძოლ და რევოლიუციონურ მუშათა კლასის სისხლი დაანთხიეს და ხალხის თავისუფლება ფეხქვეშ გათელეს.

ასეთი ნიშნები ჩვენშიაც მოსჩანს და ნაძირალები თავს იყრიან და რევოლიუციონურ ორგანოებისა და წითელი გვარდიის წინააღმდეგ ირაზმებიან. ვისთვის არის საჭირო რევოლიუციონური ორგანოებისა, წითელი გვარდიისა და მილიციონერების განადგურება, თუ არ კონტრ-რევოლიუციონერებისათვის? ბნელი ძალები და ლუმპენპროლეტარები, რომლებიც ზევით დასახელებულ ორგანოების ... მოელის და ამ მხრივ იგი სრულიადაც უზრუნველყოფილი არ არის. გარეშე მტრის საფრთხე დამოკიდებულია მრავალ რთულ და საერთაშორისო ურთიერთობაზე და ჩვენ არ შეგვიძლიან გადაჭრით ვაღიაროთ, რომ ჩვენ ამ მხრივ სრულიად დაზღვეულები ვართ და დროებითი შერიგება შემოტევაზე არ გადვიდეს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენ აღარავითარ ძალას არ წარმოვადგენთ და ჩვენ ადგილზე მოგერიების საშუალებაც კი არ გვაქვს.

სოციალ-დემოკრატები პრინციპიალურათ ომის წინააღმდეგები ვართ. ჩვენ არ დაგვიწყია საგარეო ომი ოსმალეთთან და არც მის გაგრძელებას ვაპირებთ. ამიერ კავკასიის რევოლიუციონური ორგანოები და მისი სურვილების აღმასრულებელი ამიერ კავკასიის კომისარიატი მზათ არის დროებითი შერიგება სამოლოვო ზავათ გადააქციოს და ამ ნიადაგზე იგი მედგრათ მუშაობს, ჩვენ ზავის ჩამოგდების მომხრე ვართ და არავის არაფერს ვედავებით. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი—ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აშენებული, ჩვენი მთავარი მოთხოვნილებაა და ამასვე მოვითხოვთ ოსმალეთიდან. ჩვენ მას არაფერს ვედავებით და არაფერს ვართმევთ. მაშასადამე არც მან უნდა წაგვართვას, არც ერთი ჩვენი ნაბიჯი, რომელიც კი ჩვენ ომის დაწყებამდის გვეკავა. არც ოსმალეთისა გვინდა რამ და ნურც ის ჩვენსას ინდომებს. მაგრამ ეს ყველა კეთილი სურვილია და საგარეო პოლიტიკაში ასეთ პრინციპის დაცვისათვის მუდამ და ყოველთვის ფიზიკური და შეიარაღებული ძალა ერგვარი გარანტიაა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ ჩვენი სამართლიანი შეხედულება. ჩვენ ჯარი ქვეყნის დაცვისათვის გვინდა და საშუალებას არ მივცემთ არავის, რომ რევოლიუციონური თავისუფლება წაგვართვან. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის სწორ-უპოვარმა ბელადმა ავგუსტ ბებელმა ერთხელ სთქვა: თუ გარეშე მტერი დამესხა და იგი ჩემს ქვეყანას ემუქრება, მაშინ პირველი მე გადვიკიდებ თოფს ამ მოხრილ ბეჭებზე და მტერს შევებრძოლებიო.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ბებელის ასეთ შეხედულებას და ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატია მზად უნდა იყოს იარაღით ხელში თავისი ქვეყანა დაიცვას.

მართალია ჩვენი მდგომარეობა უკიდურესია. ბალშევიკების ბარბაროსული პოლიტიკის მეოხებით ცენტრი მოგვწყვიტეს და ჩვენი თავდაცვის საქმე მეტათ მძიმე და კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენეს, მაგრამ ეს კიდევ საბუთს არ გვაძლევს, რომ გულზე ხელი დავიკრიბოთ და შინაურსა და გარეშე მტერს ჩვენი თავისუფლება საჯიჯგნათ მივცეთ და გავეთქერინოთ.

რევოლიუციონურმა ცენტრებმა ყოველ მხრივ ასწონ-დასწონა საკითხი, მან ყოველ მხრივ გაითვალისწინა ჩვენი მძიმე ეკონომიური კრიზისი და ჯარის გამოკვება—შეიარაღების მძიმე პირობები, მაგრამ მაინც რევოლიუციის დამცველი ჯარის შედგენა აუცილებლათ დაინახა. ჯარში გაიწვევენ ახალგაზრდობას მაშინ, როცა სხვადასხვა პუნქტებში ჯარისათვის საჭირო სურსათს შეაგროვებენ და გასაწვევ ჯარს ამ მხრივ უზრუნველ ყოფენ. ყველა გაწვეული ჯარისკაცი თავიანთ მაზრებში და ქვეყნებში დარჩებიან და ესენი მზათ იქნებიან რევოლიუცია დაიცვან, როგორც შინაურ ისე გარეშე მტრიდან, უკეთუ უკანას-

ცნელი ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრება და ჩვენს წალეკვას მოინდომებენ.

ამიტომაც ჩვენი ხალხი მზათ უნდა იყოს და დროებითი მთავრობის პირველ დაძახებაზევე დანიშნულ ადგილებზე გამოცხადდეს და ქვეყანა შინაურსა და გარეშე მტრის შემოსევიდან დაიცვან.

ჩვენ სურსათის ნაკლებობა ვერ შეგვაშინებს. როგორც კი დავინახავთ, რომ გაჭირვულების შენახვა გაძნელდება, ისინი უმალვე სახლში იქნებიან დათხოვნილნი.

სანამ მილიციას შევადგენდეთ ასეთი ჯარი საჭიროა და ყველა მოვალეა მზათ იყოს ამისთვის.

## პრესა

„სახალხო საქმე"-ს ძალიან უყვარს საერთო დემოკრატიულ ფრონტზე ლაპარაკი, მაგრამ როცა სიტყვა საქმეზე მივა, ისიც მგელსავით ტყისკენ იწყებს ცქერას. ამიტომ ის კიდეც სცნობს სეიმს და იმავე დროს მის გაუქმებასაც მოითხოვს. ის სწერს:

„ის არაა ნამდვილი სეიმი, იგი დროებითი ორგანიზაცია უნდა იყვეს, რადგან სეიმი, თუ ფედერალური საბჭო ამიერ კავკასიის მხოლოდ მაშინ შეიძლება დაარსდეს, როდესაც ცალკე ერები მოიწვევენ დამფუძნებელ კრებებს და შეჰქმნიან საკუთარ მთავრობებს".

ჯერ ერების დამფუძნებელი კრებები, შემდეგ ამ ერების ფარგლებში სოციალური რეფორმები—ასეთია ფედერალისტების გზა. ჩვენ რევოლიუციის და ომიანობის ხანაში ვცხოვრობთ და ყოველგვარი შესაძლებლობაა დასაშვები. მაგრამ, როცა ფედერალისტები უპირველეს ყოვლისა გადამიჯვნას მოითხოვენ—ეს დამახასიათებელია მათი პოლიტიკური ფიზიონომიის: ისინი იქნებ კარგი ფედერალისტები იყვენ, მაგრამ სოციალიზმთან ძალიან მწყრალად ბრძანდებიან.

* * *

ბ-ნი მასწავლებელი ელვა კვლავ ებრძვის ჩვენს რედაქციას—როგორ გაბედე და ჩვენი გაფიცვის წინააღმდეგ გამოდიო. მან ჯერ დაგვაბრალა ხალხის წინაშე დაბეზღება, ახლა კიდევ უფრო შორს მიდის და „სახალხო საქმის" № 151-ში სწერს:

„კომენტარიები ზედმეტია ამის დასამტკიცებლათ, რომ (მოყვანილი სტრიქონების დამწერნი) შხამა სიძულვილით არიან გაჟღენთილნი მასწავლებლებისადმიო".

ასეთია ბ. ელვას შეხედულება ჩვენი გრძნობების შესახებ. ალბათ ღრმა ფსიხოლოგი უნდა იყვეს ბ. ელვა და თუ ის პატარა ბავშვებისადმიც ასეთს გულთმისნობას იჩენს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

ელვა ელვაა, მაგრამ, საინტერესოა, რად იჩენს ასეთს მორცხვობას „სახალხო საქმე", რომელიც ელვას წერილებს ბეჭდავს, ხოლო თითონ კი სდუმს.

* * *

„კავკაზსკი რაბოჩი" ფ. მ.-ს კალმით ნიანგის ცრემლებსა ღვრის ამიერ კავკასიაში ანარქიის გაძლიერების შესახებ.

„საითაც გაიხედავ—ყველგან არევდარევა, გახრწნა, ანარქია", აქ შექმნეს მთავრობა, მაგრამ ეს მთავრობა მხოლოდ ქაღალდზე არსებობს"-ო.

ბალშევიკები რუსის „მუჟიკს" ვერ გასცილებიან მთავრობის ძალის შესახებ: ან უნდა სცემო, ან ციხეში ჩასვა—ამის გარეშე ფ. მ. ვერ წარმოუდგენია მთავრობა. ეს საკვირველი არ არის მას შემდეგ, რაც ბალშევიკებმა ჩაიდინეს, სადაც ძალა ჩაიგდეს ხელში.

შემდეგ ფ. მ. სწერს:

„ჩვენმა ობორონცებმა ამიერ კავკასია მოსწყვიტეს რუსეთსო"-ო, ჟორდანიამ, გეგეჭკორმა და სხვებმა ყარაულოვს იარაღი გაუგზავნესო და სხვ.

ცილისწამება, ვითომ ჟორდანიამ და გეგეჭკორმა იარაღი გაუგზავნეს ყარაულოვს—კიდევ ეპატიება ბ. ფ. მ. ავათმყოფ ფანტაზიას, რომელიც კომისართა საბჭოს სახელით ყველაფერს დასაშვებათ თვლის, მაგრამ ეს კი ვერ წარმოგვედგინა, თუ ფ. მ. რუს ხულიგანების შეხედულობებს ასე გაიზიარებდა და მათთან ერთად მოყვებოდა სიმღერას—კავკასია რუსეთს ჩამოშორდაო!

## სამოქალაქო ომი

21 იანვარს თფილისში შემდეგი დეპეშა მოვიდა დონის როსტოვიდან: დონის ოლქის საზღვრებზე ბრძოლა წინანდელის სიმკაცრით გრძელდება. ჯერ-ჯერობით გამარჯვება კალედინის მომხრე ჯარების მხარეზეა. ბრძოლაში მონაწილეობას იღებს მოხალისეთა ჯარი.

გამოცხადდა სამი დღის საპროტესტო გაფიცვა. გაფიცვის მიზეზია რკინის გზის მთავარ სახელოსნოში მომხდარი სისხლის ღვრა. მუშებმა კრება გამართეს სახელოსნოში, რომლის დროს გამოცხადდნენ იუნკრები და აფიცრები და მოსთხოვეს მუშებს დაშლილიყვენ. მუშები არ დაემორჩილენ. ამ მოლაპარაკების დროს მუშებში ვიღაცამ მუშების მხრიდან პროვოკაცია მოაწყო—ერთხელ გაისროლა. იუნკრებმაც ესროლეს. მოკვდა ორი კაცი. არიან დაჭრილნი. ამ ამბავმა დიდათ აალელვა მუშები და გამოაცხადეს გაფიცვა.

პეტროგრად-მოსკოვიდან მიღებული ცნობების სისწორის შესახებ არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობები მოდის.

ოდესიდან მიღებული ცნობების თანახმად იქ ტელეგრაფი ბალშევიკების ხელშია. ბალშევიკურ წრეებში ხმებია გავრცელებული, თითქოს კიევი გარშემორტყმული იყოს „სახალხო კომისართა" ჯარებით, თითქოს ამ ჯარებს კიევში ხელში ჩაეგდოთ არსენალი. ამ ხმების შემოწმება არ მოხერხდა.

## კავკასიის ფრონტი

18 იანვრის თარიღით გამოგზავნილი ცნობის თანახმად ერზინჯანის სამხრეთ-დასავლეთით ქალაქიდან 60 ვერსის მანძილზე ქურთებთან სროლის დროს, რომელიც 3 საათი გაგრძელდა, მოკლულ იქნა ოთხი ქურთი, ჩვენი ჯარის მხრით არც დაჭრილი, არც მოკლული არ არის.

———

რიზე-ბათუმს შორის ტელეგრაფის და ტელეფონის მუშაობა შეჰყვეტილია.

მეფარი და რიზის მიდამოები შეიარაღებულ ოსმალებს აქვთ დაკავებული, რომლებიც ამბობენ—თავს ვიცავთ გამვლელ ჯარებისაგანო.

რიზედან ატინამდე გზაზე სამხედრო დარაჯები მოხსნილია.

გამვლელ-გამომვლელ ტრანსპორტებს გზაში თან მიჰყვება ოსმალთა კომიტეტების მიერ არჩეული მილიციონერები, რათა ჯარისკაცებსა და მცხოვრებლებს შორის შეტაკება არ მოხდეს.

ამ სამი დღის წინათ რიზესა და მეფარს შუა გზაზე მდ. ასკოროსთან ადგილობრივი მცხოვრები ოსმალები თავს დაესხენ მიმავალ ჯარისკაცებს და სროლა აუტეხეს.

გაძარცვეს 7 ტრანსპორტი. წაართვეს 84 ცხენი, 53 ჯორი, 145 თოფი და სხვადასხვა ნივთები.

ამ ჟამად მეფარში 400 ჯარისკაცია. ყველანი უიარაღონი არიან.

შარა-გზა ფუჭდება. გაუვალი ტალახი დგას. თუ ასე გაგრძელდა საქმე, მოსალოდნელია ბათუმთან სრულიად შესწყდეს კავშირი. საჭიროა გზის ზოგიერთ ადგილებში სადარაჯო პუნქტების შექმნა. საჭიროა რიზეში მორიგ ნალმოსნის დანიშვნა, რომ ბათუმთან არ გასწყდეს კავშირი.

რიზედან ჩამოსულები ასე აგვიწერენ იქ მომხდარ ამბებს: გავიდენ თუ არა რიზედან ჯარები, ქალაქში შემოიჭრენ ყაჩაღები და დაიწყეს ძარცვა-გლეჯა. გაძარცვეს შეძლებული ხალხი და წავიდენ. ოსმალებმა თვით მოაწყვეს თვითდაცვა და რამდენიმე ყაჩაღი მოჰკლეს. მაგრამ რაც ყაჩაღებმა დააკლეს, ის მიმავალმა ეშელონებმა შეუსრულეს მცხოვრებლებს. ყაჩაღები თავის დღეში არ ჩაიდენდენ იმას, რაც ამ ეშელონებმა ჩაიდინეს, მათ მოინდომეს ქალაქის სრულიად გაოხრება, მიწასთან გასწორება და გაანადგურეს კიდეც. გაძარცვეს მთელი ბაზარი და შემდეგ ის ცეცხლს მისცეს, დასწვეს ყველა სასტუმროები, რაც წაულეკელი გადაურჩათ ცეცხლმა შთანთქა ყველაფერი. როცა გული იჯერეს და ყველაფერი გააოხრეს, სამი მხრიდან ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს და სულ მთლათ გადაბუგეს. რიზედან ფეხით წამოვიდა ერთი დივიზია, რომელიც ყველაფერს აოხრებს გზაზე. გაძარცვეს და დაარბიეს ატინა. ახლო-მახლო მცხოვრებნი თავზარდაცემულნი მთებში გაიქცენ. („რეს.").

## ფინლიანდია და რუსეთი

ფინლიანდიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ტროცკიმ შემდეგი პასუხი გაუგზავნა:

„თქვენს შეკითხვაზე ფინლიანდიის საზღვრებში სამოქალაქო ბრძოლაში რუსის ჯარისკაცების ჩარევის შესახებ მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი: თქვენთან ერთათ რუსეთის მთავრობასაც შეუწყნარებლათ მიაჩნია რუსი ჯარისკაცების მიერ ფინლიანდიის შინაურ საქმეებში ჩარევა. ის ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება ამ ჯარების ნაწილებისა და მათი უფროსებისაგან, გვეუბნებიან, რომ ფინლიანდიის მცხოვრებთა კონტრ-რევოლიუციონური და შოვინისტური ელემენტები, ალბათ, იერიშით მიდიან რუსის ჯარისკაცებზე, ესვრიან მათ მატარებლებს და სხ., რაც ბუნებრივათ ჯარისკაცებისაგან იწვევს თავდაცვის საჭიროებას. ამასთან ერთად, ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია ფინლანდია ახლო მომავალში გავსწმინდოთ რუსეთის ჯარებისაგან. მაგრამ ეს დამოკიდებულია როგორც თქვენც აღნიშნავთ, ტეხნიკურ პირობებზე და სხვა გარემოებებზე. ვიმედოვნებთ, რომ შემათანხმებელი კომისია შესძლებს ყველა იმ მწვავე საკითხების გადაჭრას, რომლითაც ასე დაინტერესებული არიან ორივე ქვეყნის ხალხი. გთხოვთ გვაცნობოთ სისწორით ძალადობის ყველა ის შემთხვევები, რომელთაც კი ფინლიანდიის მცხოვრებლებზე მოახდენენ რუსი ჯარისკაცები, რათა ჩვენ შეძლება გვქონდეს თავის დროზე მივიღოთ შესაფერი ზომები. სახალხო კომისართა საბჭო აღსავსეა პატივისცემის გრძნობით და მეგობრობით დამოუკიდებელი ფინლანდიის ხალხისადმი".

## დამფუძნებელი კრების გარშემო

**პეტროგრადიდან** თფილისში 21 იანვარს ჩამოსულმა შემდეგი გვიამბო იქ მომხდარი ამბების შესახებ.

ბალშევიკების გამოსვლის შემდეგ (25 ოქტობრიდან) პეტროგრადში შეიქნა ისეთი მძიმე, აუტანელი მდგომარეობა, რომ ყველა ფიქრობდა მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნებაზე. საქმე იმაშია, რომ ბალშევიკებმა გადასწყვიტეს სასტიკი ზომებით შებრძოლებოდენ მოწინააღმდეგეებს. უნდოდათ ხალხის დაშინება, ისროდენ კრეისერებიდან, რასაც მოყვა ბევრი მსხვერპლი. მცხოვრებლებმა და ყველა დაწესებულებებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ბალშევიკების მთავრობას, მუშაობას თავი გაანებეს, სანამ არ შეიკრიბებოდა დამფუძნებელი კრება, რომელიც მოგვცემს ნდობით აღჭურვილ მთავრობას, ჩვენ მუშაობას არ დავიწყებთო. ეს გადაწყვეტილება შეასრულეს კიდევაც პირნათლათ. ყველას ჰქონდა იმედი, რომ დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდა. მის წინააღმდეგ თუ ვინმე გაილაშქრებდა, არ ეგონათ, მით უმეტეს არ ფიქრობდენ თუ სოციალისტები გამოუცხადებდენ მას ბრძოლას. ბალშევიკებს გათვალისწინებული ჰქონდათ, თუ მათ ფიზიკური ძალა არ ეყოლებოდათ, ხალხში გავლენას მალე დაჰკარგავდენ. ამიტომ შეადგინეს წითელი გვარდია. თვითოეულ გვარდიელს დღეში აძლევენ 30 მანეთს, მატროსს 35 მ. ამით აიხსნება, რომ წითელ გვარდიაში ეწერებიან არა-სამედო პირებიც. ფიზიკურ ძალასთან ერთათ საჭირო იყო ფულიც. ყველა შემნახველ-გამსესხებელ კასებიდან მაშინვე წაიღეს ფული. ამის შემდეგ ბალშევიკების ორდერებით მიდიოდენ კერძო პირებთან, ჩხრეკდენ მათ და ართმევდენ ფულს. ბალშევიკებმა რამდენჯერმე განაცხადეს პროტესტი მათი სახელით ასეთი სამარცხვინო საქციელის ჩადენის წინააღმდეგ, მაგრამ ძარცვა-გლეჯა მაინც გრძელდებოდა. მოახდინეს ბანკების ნაციონალიზაცია, ჩაიგდეს ხელში ქაღალდის დამმზადებელი სახელმწიფო ექსპედიცია. ძარცვა განსაკუთრებით საღამოობით ხდებოდა. ტანისამოსს, ფულს, ნივთებს, ერთი სიტყვით ყველაფერს ართმევდენ ადამიანს. ქუჩაში გავლა შეუძლებელი გახდა. ხალხი და დაწესებულებანი განაგრძობდენ გაფიცვას. ბალშევიკებმა მიიღეს ზომები გაფიცვის წინააღმდეგ. ისინი პირდებოდენ დაბალ მოსამსახურეებს მაღალ ადგილს, დიდ ჯამაგირს და სხვა პრივილეგიებს, მაგრამ მოსამსახურენი არ სთანხმდებოდენ. სახელმწიფო კონტროლის დაწესებულებათა კარისკაცებმა უპასუხეს ბალშევიკებს, თქვენთან მუშაობას ჩვენ გვირჩევნია იატაკი ვწმინდოთო. სხვა დაწესებულებებში შეიყვანეს მატროსები და ჯარისკაცები და ცდილობდენ ძალით დაეყენებიათ სამუშაოზე მოსამსახურეები. მაგრამ მოსამსახურეები, მიუხედავათ ძალადობისა, მაინც არ მუშაობდენ. ასეთი მდგომარეობა იყო 20 დეკემბრამდე. ეგონათ 20 დეკემბერს მოიწვევდენ დამფუძნებელ კრებას, მაგრამ ლენინმა განაცხადა დამფუძნებელ კრებას ხუთ იანვარს მოვიწვევთ, თუ საკმაო რიცხვი დეპუტატებისა ჩაეწერება ურიცკისთანო, დეპუტატებმა გადასწყვიტეს არ ჩაეწერონ ურიცკისთან. 4 იანვარს დამფუძნებელ კრების დაცვის კავშირმა დაადგინა დამ. კრ. გახსნის დღეს მოაწყოს მანიფესტაციები. ამ დადგენილებას შეუერთდა გაფიცვის კომიტეტი და საზოგადოება. მანიფესტაციები ნება დართული იყო ბალშევიკების მიერ.

5 იანვარს, რომელსაც ყველა მოუთმენლათ მოელოდა, მეტათ კარგი ამინდი იყო. ხალხში სადღესასწაულო სულიერი განწყობილება სუფევდა. ბალშევიკებმა გასცეს ბრძანება შეჩერებიათ გაფიცვა და მუშაობა დაეწყოთ. გამოვიდა რამდენიმე ტრამვაის ვაგონი (ტრამვაელები უმრავლესობა ბალშევიკებია) გზების გასაწმენდათ ერთი საათის განმავლობაში მუშაობისათვის 5 მან. 75 კაპ. იძლეოდენ. თავრიდის სასახლისაკენ მიმავალ ქუჩებში შეშები დაეწყოთ, ზედ ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები შედგათ. სხვა ქუჩებში იდგენ მატროსები და წითელგვარდიელები. პირველი მანიფესტაცია დაიძრა ვიბორგის მხრიდან. ეს მხარე ბალშევიკურია და ამიტომ არავინ არ მოელოდა აქედან მანიფესტაციის დაწყებას. როგორც მოუახლოვდენ მანიფესტანტები ლიტეინის ქუჩას, მათ წინააღმდეგ ასტეხეს სროლა, წაართვეს მათ დროშები და იქვე დასწვეს. ეწვავთ მოღალატე მენშევიკების ტანისამოსო—გაიძახოდენ ბალშევიკები. ყველაზე მრავალ-რიცხოვანი მანიფესტაცია ნევის პროსპექტიდან წამოვიდა. მას აუტეხეს სროლა. პირველათ ისროდენ ჰაერში. ხალხიც წათამამდა, აბა, მართლა როგორ გვესვრიან, ესენი ხომ ჩვენები არიან,—წავიდეთ თავრიდის სასახლეში, დავიძახოთ „გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებასო"... ამ დროს ასტყდა საშინელი სროლა. წამოვიდა ნამდვილი ტყვიის წვიმა. ხალხი ქუჩაში გაეგო. ვინაიდან დაბლა ისროდენ, უმრავლესობა ფეხში აღმოჩნდა დაჭრილი. მოკლეს 60-ამდე კაცი. დღის 12 საათი იქნებოდა. დამფუძნებელ კრების ბინას მიადგენ დეპუტატები და მოითხოვდენ დარბაზში შეშვებას. მატროსები ურიცკის მიერ მიცემულ ნებართვას მოითხოვდენ. დეპუტატების საკმაო რიცხვი რომ შეგროვდა, განუცხადეს მატროსებს ჩვენ ვართ ამ დარბაზის პატრონი და არა თქვენო და ძალით შევიდენ დარბაზში. ურიცკიმ მერე დანარჩენი დეპუტატებიც შეუშვა. როცა გამოირკვა, რომ თავი მოეყარა 500-ამდე დეპუტატს დამფუძნებელ კრების გახსნაც სადაო არ იყო. დიდი კამათი და აურ-ზაური გამოიწვია საკითხმა, თუ ვის გაეხსნა დამფუძნებელი კრება. ბალშევიკები ასახელებდენ სვერდლოვს. დანარჩენი პარტიები შვეცოვს, როგორც ძველ მოღვაწეს. რადგანაც ბალშევიკებმა ასტეხეს ხმაურობა და აყალ-მაყალი, დანარჩენ პარტიებმაც დასთმეს, რომ სულ არ ჩაშლილიყო დამფ. კრება და კრებაც სვერდლოვმა გახსნა, მან გამოაქვეყნა ბალშევიკების დეკლარაცია.

ჯერი მიდგა თავმჯდომარის არჩევაზე. ამ საკითხმაც დიდი აურ-ზაური გამოიწვია. ლენინი ამ დროს წამოწოლილი-ყო მინისტრების ლოჟაში, ფეხები ტრიბუნისაკენ ჰქონდა გაწვდილი. მან თავი მოიმძინარა. მასთან იყო კრილენკო, რომელსაც სასტვენელი ჰქონდა ხელში და ყვიროდა. დანარჩენ ბალშევიკებს ჯოხები ეჭირათ. საშინლათ ხმაურობდენ. თავმჯდომარეთ დაასახელეს ჩერნოვი და სპირიდონოვას ქალი. ბალშევიკებმა ასტეხეს ყვირილი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ჩერნოვი. მისი სიტყვა ვერავინ გაიგონა ბალშევიკების ყვირილის გამო. ისმენდენ სვერდლოვის და ბალშევიკების სიტყვას, ვინაიდან არა ბალშევიკები არ უშლიდენ მათ ხელს.

სულ უკანასკნელათ ილაპარაკა ირ. წერეთელმა. სიტყვის პირველი ნაწილი წარმოითქვა საშინელ ხმაურობაში, მაგრამ წერეთელმა ბოლოს მაინც შესძლო თავის სიტყვა ყველასათვის გასაგონი გაეხადა. ყველა გაზეთებმა აღიარეს, რომ ეს სიტყვა იყო საზოგადო-სახელმწიფოებრივ მოღვაწის დიდებული საპროგრამო სიტყვაო. ასეთივე აზრის ყოფილა წერეთლის სიტყვის შესახებ ევროპის პრესაც, როგორც სჩანს ლონდონის გაზეთებიდან.

დამფუძნებელ კრებამ იარსება სულ 6 საათი. შემდეგ ბალშევიკებმა გამოაცხადეს დამფუძნებელი კრება არ არსებობსო, შემოვარდენ მატროსები და გარეკეს იგი. ამ დროს ჩერნოვს და წერეთელს დაუმიზნეს მაუზერი, უნდოდათ მათი მოკვლა, მაგრამ თვით მატროსებმა გამოსტაცეს თავის ამხანაგებს იარაღი ხელიდან. დეპუტატები გარბოდენ. ასტყდა სროლა, დეპუტატები შემდეგ იკრიბებოდენ კერძო ბინებზე. მათი აზრი ასეთია: დასტოვონ სავსებით ველიკოროსია და მონახონ ისეთი ადგილი, სადაც შესაძლებელი გახდება დამფუძნებელ კრების გახსნა. ამასთანავე ნაციონალურ პოლკებმა უნდა შეადგინონ ძალა დამფუძნებელ კრების დასაცავათ.

5 იანვარს საღამოს ხალხს ჩხრეკდენ, ბევრს ატუსაღებდენ, ბევრს პირდაპირ ნევაში აგდებდენ. ერთი სიტყვით, არ შეეძლო ქუჩაში გავლა, თუ ბალშევიკი არ იყავი, საღამოს დასჭრეს მ. გორკი. ბალშევიკებმა ნევაში შემოიყვანეს კრეისერები სმოლნის დასაცავათ.

ლეგალურად გამოდის მხოლოდ გაზ. „პრავდა". სხვა გაზეთებს სდევნიან. ერთხელ „ნოვაია ჟიზნ"-ის რამდენიმე ათასი ცალი დასწვეს. გაზეთებს ჩუმათ, მალულათ ავრცელებენ. თუ არა ბალშევიკური გაზეთი დაგინახეს ხელში—აშკარათ გაგლანძღავენ.

5 იანვარს მომხდარ ამბებმა გამოაფხიზლა ხალხი. ამ დღეს ბალშევიკებმა სავსებით ჩამოიხადეს ნიღაბი. 8 იანვარს მოხდა ლენინის დეკრეტის თანახმათ არჩევნები ნაციონალურ კონვენტში წარმომადგენლების გასაგზავნათ. ფაბრიკა-ქარხნის მუშებმა აირჩიეს უმრავლესობა მენშევიკები, მაგრამ ბალშევიკებმა ეს გაუგებრობათ გამოაცხადეს და არჩევნები ჩაშალეს. პეტროგრადის გარნიზონი დამფუძნებელ კრებას იცავს.

პეტროგრადიდან მოსკოვამდე მგზავრობა მეტათ ძნელია. დიდძალი ჯარი მოდის ფრონტიდან. სხდებიან ვაგონების სახურავებზე, ბევრი სიცივისაგან იყინება და იხოცება. ყიდიან ყველაფერს. თითო ცხენს 50 მან. ყიდიან სახორცეთ; ვინტოვკას 70—80 მან. და სხ. რამდენ ცარიელ ვაგონს ნახავენ, ყველას მატარებელს აბამენ და ძალით მიერეკებიან მემანქანეს.

ნოვოჩერკასკის აქეთ ჯარისკაცებს ვერ შეხვდებით. ოლქში ჯერ-ჯერობით წესრიგია, სურსათი საკმაოთ იშოვება. (პეტროგრადში ორ დღეში ერთ მეოთხედა გირ. პურს გვაძლევდენ).

## იარაღის გამორთმევის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ).

ვინაიდან ზოგიერთ გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, თითქოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის სახელით ნ. ნ. ჟორდანიას დეპეშა გაეგზავნოს მუსულმანთა ნაციონალური კომიტეტისთვის სამხედრო ეშელონებისთვის იარაღის აყრის შესახებ, ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყო საზოგადოებას, რომ დასახელებულ ცენტრის ნ. ნ. ჟორდანიას ხელ-მოწერით არასოდეს, არავითარი ნაციონალური კომიტეტისათვის და კერძოთ კი მუსულმანთა ნაც. კომიტეტისათვის არავითარი დეპეშა და მით უმეტეს ცირკულიარული დეპეშა არ გაუგზავნია.

ცენტრის საქმეთა მმართველი

პ. კავკასიძე.

## ახალი ამბები

**ამიერ კავკასიის სეიმი.** 22 იანვარს თფილისში გაიხსნა სრულიათ რუსეთის დამფუძნებელ კრების ამიერ კავკასიის დეპუტატთა კრება. კრება გახსნა ამიერ-კავკასიის კომისარიატის სახელით ევგენი გეგეჭკორმა. კომისარიატი მთელის შემადგენლობით დაესწრო. ბევრი დაესწრო გარეშე პირებიც და რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენლები, სასახლის თეთრ დარბაზში ტევა აღარ იყო. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა კარლო ჩხეიძე, რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა კრებას. მიღებულ იქნა ნოე ჟორდანიას წინადადება, რომლის თანახმათ პირველათ უნდა გაიხილონ საკითხი კრების კონსტრუქციის შესახებ, ე. ი. უნდა გამოარკვიონ, თუ რა უფლებები ექნება მას. ამ საკითხის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ნოე ჟორდანიამ. ორატორმა სთქვა, რომ კრების შემადგენლობა უნდა გადიდდეს, დაერქვას მას ამიერ-კავკასიის სეიმი, რომელიც გადასჭრის ადგილობრივ კითხვებსო, კრება შესწყდა მეორე დღის პირველ საათამდე, რომ სხვა ფრაქციებს მისცენ საშუალება ამ საკითხის შესახებ თავისი აზრი შეიმუშავონ, კრებას დაესწრო 26-მდე დეპუტატი (მენშევიკები, ესერები, დაშნაკელები და მუსულმანები).

**დამფუძნებელი კრების გარშემო.** 21 იანვარს თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების თანახმად ქალაქის სხვადასხვა ადგილებში გაიმართა მიტინგები დამფუძნებელ კრების გარეკის წინააღმდეგ საპროტესტოთ. ორატორებმა განუმარტეს დამსწრეთ, თუ რა ძალადობა და უმრავლესობის ნება-სურვილების ფეხქვეშ გამთელავი მოქმედება ჩაიდინეს ბალშევიკებმა დამფუძნებელ კრების გარეკით. ხალხი მეტათ აღშფოთებელია ბალშევიკების ასეთი თავხედობით. გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუციები და მოითხოვეს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევა. ს.-ფედერალისტებმა დემოკრატიის მოთხოვნილებას, სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას, ცალკე ერების, კერძოთ საქართველოს დამფუძნებელი კრება დაუპირდაპირეს. ნუ თუ ჯერ კიდევ ვერ გაიგეთ, რომ ის, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება უკვე მოკვდა, აღარ არისო—ამბობდენ ფედერალისტები. რევოლიუციის ხელმძღვანელების წყალობით ჩვენ დღესაც იმ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რა მდგომარეობაშიაც ვიყავით 1917 წლის 26 თებერვალსო—განაცხადეს მათ. მიტინგზე მიღებულ იქნა თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭოს აღმასრულებელ კოსიტეტის მიერ შემუშავებული შემდეგი რეზოლიუცია: დამფუძნებელ კრების გარეკამ გასწყვიტა უკანასკნელი ძაფი, რომელიც რუსეთის და მთელ რევოლიუციონურ ფრონტს აერთებდა, ამიტომ რევოლიუციონურ დემოკრატიის ერთ მთავარ მიზნათ მიტინგს მიაჩნია რევოლიუციონურ ფრონტის მთლიანობის აღდგენა და დამფუძნებელ კრების დაუყოვნებლივ მოწვევა. ამასთანავე მიტინგს საჭიროთ მიაჩნია ანარქიასთან საბრძოლველათ მოწვეულ იქნას კავკასიის საოლქო სეიმი, რომელიც იმუშავებს დამფუძნებელ კრებასთან ერთად და გაამაგრებს ადგილობრივ რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას. გაუმარჯოს დამფუძ. კრებას, გაუმარჯოს რევოლ. ფრონტის მთლიანობას, გაუმარჯოს პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობას.

**პურის ბარათების გარშემო.** სხვისი პურის ბარათით სარგებლობისთვის პასუხისგებაში მისცეს მოქალაქე მალახოვი.

18 იანვარს მე-4 უბნის უმცროს მილიციონერმა დააპატიმრა ვიღაც შაგინიანი, რომელსაც უნდოდა ეყიდა ერთათ 40 დროებით ბარათით პური. გამოირკვა, რომ შაგინიანი აღნიშნულ ბარათებს ყიდულობდა მე-8 კომისარიატში სასტუმრო „რადიანტ"-ში. გაჩხრეკის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხსენებულ სასტუმროში (№ 19), ვიღაც ხაჩატურიანს დამზადებული ჰქონებია ასეთი ბარათები 40 ფუთი პურისა. იქვე აღმოჩნდა შესაფერი ბეჭედი და 1,000 მ. ფული, ფეჩში დამალული. დაკითხვის დროს ხაჩატურიანცმა აღიარა, რომ იგი სჩადიოდა ამ ბოროტმოქმედებას და ამას თავის მატერიალურ გაჭირვებით ხსნიდა. მისი განცხადებით, იგი ხსენებულ ბარათებს იღებდა თფ. სადგურზე განმანაწილებელ პუნქტში მოსამსახურე სტუდენტ ქუთათელაძისაგან. შაგინიანი და ხაჩატურიანი ადმინისტრატიულ წესით 6 თვით დატუსაღებულ იქნენ. ამიერ კავკასიის კომისარიატში აღძრულია შუამდგომლობა, რათა მათი დატუსაღების დრო გაგრძელებულ იქნეს 6 თვიდან წელიწად ნახევრამდე. ქუთათელაძე დაითხოვეს სამსახურიდან და სწარმოებს გამოძიება. ხაჩატურიანი, ყოფილი პოლიტიკური გადასახლებული, უწინ მსახურებდა სასურსათო კომიტეტის განმანაწილებელ პუნქტში, მაგრამ შემდეგ გაძევებულ იქნა სამსახურიდან პურის ბარათებით ბოროტმოქმედებისათვის.

**სტამბის მუშებმა** შუამდგომლობა აღძრეს ამიერ კავკასიის კომისარიატში, რათა მათთვის გასწორებიათ ანგარიში არსებულ ტარიფის მიხედვით; შემდეგ მუშები მოითხოვდენ მიეცათ მათთვის თვითეულისთვის 400 მან. ერთ დროულათ დახმარების სახით, როგორც სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურეთათვის. შრომის კომისარმა განიხილა ეს საკითხი პროფ. კავშირთან ერთად და დაადგინეს, რომ მათ, ვინც ჯამაგირებს ტარიფის მიხედვით იღებენ არ ეკუთვნით ერთდროული დახმარება. მუშები ამ დადგენილების წინააღმდეგ არ წასულან.

**განჯის გუბერნიის კომისარი** მალხაზოვი ამიერ კავკასიის კომისარიატს აცნობებს: ცნობა არის, რომ ევლახიდან ყველა მოსამსახურენი თავიანთი ნივთებით გადიან, რადგანაც ეშინიათ თავდასხმის. დამცველი რაზმი არ არის. მიღებულია ზომები, რათა მუშები დაბრუნდენ ევლახში და ჯევანშირის სამაზრო კომისარს წინადადება მიეცა, რათა მიიღოს საჩქარო ზომები სადგურზე მიმოსვლის უზრუნველ საყოფათ.

**სწავლის დაწყება.** ქალთა და ვაჟთა ქართულ გიმნაზიების ყველა კლასებში სწავლა დაიწყო გუშინ, 22 იანვარს.

**ამიერ კავკასიის კომისარიატს შრომის კომისარი** ჩხიკვიშვილი ატყობინებს: ტუაპსემდე რკინის გზაზე მდგომარეობა უკანასკნელ თვენახევრის განმავლობაში საგრძნობათ შეიცვალა. მუშები ჯამაგირების მიღებას უცდიან და უარს ამბობენ მუშაობაზე. საერთოთ მუშების მდგომარეობა აუტანელია. ხშირია ძალდატანების შემთხვევებიც. ექსცესების თავიდან აცილება კომისარიატს არ ძალუძს. ერთათ ერთი გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან მუშაობის დროებით შეწყვეტაა.

**თფილისის ქართულ სასულიერო სემინარიაში** თავისუფალია ინსპექტორის თანაშემწის ადგილი. წლიურათ მიეცემა—1300 მან. 6 გაკვეთილისა—450 მან. და ბიბლიოთეკის გამგეობისათვის—180 მან. ამას გარდა, დამსახურებულნი მიიღებენ ხუთწლოვან დამატებებს—400 მან. ყოველს ხუთი წლის ნამსახურისას. მსურველთ თხოვნები შესაფერი საბუთებით უნდა გამოგზავნონ ხსენებულ სემინარიის საპედაგოგიო საბჭოს ან რექტორის სახელზე.

**კახეთის რკინის გზაზე** შტატის შემცირების გამო დათხოვნილ იქნა 44 მუშა. შრომის კომისარიატმა განიხილა ამ საქმის შესახებ მუშების მხრივ აღძრული საჩივარი და დაადგინა: დაკმაყოფილებულ იქნას მუშათა მოთხოვნილება ჯამაგირების მიცემის შესახებ თანახმათ ცენტრ. მომრიგებელ კამერის დადგენილებისა და არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მუშათა მოთხოვნილება მომატებების შესახებ, რომელიც რკინის გზის მოსამსახურეთათვის დააკანონა 1917 წლის სექტემბერში დრ. მთავრობამ, რადგან დღიურ მოსამსახურეთა შრომა ჯილდოვდება საბაზრო ფასის მიხედვით, რომელსაც არ შეეხება დრ. მთავრობის დადგენილება

**ქუთაისის გუბერნიის შრომის კომისარათ** დაინიშნა გ. ა. ფაღავა.

**მიმავალი ეშელონები.** ამ.-კავკ. კომისარიატს ატყობინებენ, რომ 20 იანვარს აგტაგლიდან გამოსულა ერთი ეშელონი. იქ ღამის გასათევათ დარჩენილან 6 ეშელონი (3000 ჯარისკაცამდის). იქვე ამო[illegible]ჩეულ საორგანიზაციო კომიტეტს გა[illegible]წყვეტია შეადგინოს მებრძოლი ერთეულები და ისე წავიდენ წინ. შეუიარაღებელი ტრანსპორტი განზრახულია გაიგზავნოს ნავთლუღში, რათა აგტაგლიას შეძლება მიეცეს, მიიღოს სხვა ნაწილები. აუცილებლათ საჭიროა საჩქაროთ მოეწყოს რაზმი გზის დარბევისაგან დასაცავათ. აგტაგლიაში სურსათი საკმაოა.

**დატუსაღება.** ქუჩაში სროლისათვის დაატუსაღეს: ა. მესტვირიშვილი, ა. კაზაროვი და ი. ხუნაშვილი—2 თვით. ფ. პავლოვიჩი—1 თვით. სპირტის გაყიდვისათვის—ი. ბიჭიაშვილი და ს. გუნ-

ვაქ—2 თვით, ა. პოგოსიანი და ვ. ბილანიშვილი—8 თვით.

**ქალაქი და მიდამოები.**

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. [illegible] კომიტეტის სხდომა.

— დღეს, 23 იანვარს, [illegible]

— დღეს, საღამოს 8 საათზე [illegible]

— დღეს, საღამოს 4 საათზე [illegible]

## ქუთაისის ამბები

15 იანვარს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის [illegible] 1251464 [illegible] 171113170 [illegible]

16 იანვარს [illegible]

## მასწავლებელთა გაფიცვა დასავლეთ საქართველოში

[illegible]

## დამოუკიდებელი უკრაინა

(უკრაინის ცენტრალური რადის უნივერსალი).

უკრაინის ხალხო! [illegible] გამოგზავნა ბოლშევიკურ წითელგვარდიელთა ჯარები, [illegible] წინანდებური მშვიდობიანობა, ჩვენს მხარეში შემოქმედებითი მუშაობის დასაწყობად და რევოლიუციის გასამტკიცებლად ჩვენ, უკრაინის ცენტრალური რადა უკრაინის ყველა მოქალაქეს ვუცხადებთ, რომ **დღეიდან უკრაინის სახალხო რესპუბლიკა სრულიად დამოუკიდებელია**, არავის არ ექვემდებარება იგი და იქნება თავისუფალ სუვერენული სახელმწიფო უკრაინის ერისა.

ყველა მეზობელ სახელმწიფოებთან, როგორც რუსეთი, პოლონეთი, ავსტრო-უნგრეთი, რუმინია, ოსმალეთი და სხვა, ჩვენ გვინდა მეგობრული განწყობილება გვქონდეს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეუძლია ჩვენ შინაურ საქმეებში ჩაერიოს. უკრაინაში ძალა-უფლება დამფუძნებელ კრების ხელში იქნება.

ჩვენ უკრაინის ცენტრალური რადა, როგორც მშრომელ ხალხის გლეხების, მუშების და ჯარისკაცების წარმომადგენელი, და ჩვენი აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც ეწოდება „სახალხო მინისტრთა საბჭო", ამიერიდან იწყებს ცენტრალურ სახელმწიფოებთან ზავის შესახებ მოლაპარაკებას და მიიყვანს მას ბოლომდე მიუხედავათ იმისა, რაც დაბრკოლება არ უნდა შეხვდეს რუსეთის ყოფილ იმპერიის სხვა რომელიმე ნაწილებისაგან და დაამყარებს მშვიდობიანობას, რომ ჩვენმა მხარემ დაიწყოს დაწყნარებული ცხოვრება. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ ბალშევიკების და სხვა მის გვარებს ჩვენ წინადადებას ვაძლევთ უკრაინის მთავრობას თავგამოდებით ებრძოლოს მათ და ყველა ჩვენ ხალხს მოვუწოდებთ სიცოცხლე არ დაიშუროს და იბრძოლოს ჩვენი ხალხის თავისუფლების დასაცავათ.

უკრაინის სახალხო რესპუბლიკა უნდა გაიწმინდოს პეტროგრადიდან გამოგზავნილ დაქირავებულ მოძალადეთაგან, რომელნიც ფეხ-ქვეშ სთელავენ უკრაინის რესპუბლიკის უფლებას.

ბურჟუაზიულ მთავრობების მიერ გამოწვეულმა საშინელმა ომმა გააწამა ჩვენი ერი და დააქუცმაცა რუსეთის სახელმწიფო. ეხლა ყველა ამას ბოლო უნდა მოეღოს. წინადადებას ვაძლევთ დემობილიზაციის დაწყებასთან დაიწყონ ვადით ჯარისკაცების სახლში დათხოვნა და როცა ზავი საბოლოოთ ჩამოგდებული იქნება სულ დაითხოვონ ჯარი, შემდეგ მუდმივ ჯარის მაგიერ შესდგეს სახალხო მილიცია, რომელიც დაიცავს მუშა ხალხის ინტერესებს და არა სხვებისას.

როცა ჩვენი ჯარისკაცები სახლებში დაბრუნდებიან უნდა მოხდეს ყველა ადგილობრივ თვითმართველ ორგანოების ხელახალი არჩევნები, რომ დაბრუნებულმა ჯარისკაცებმაც მიიღონ მონაწილეობა ამ არჩევნებში. ამასთან ერთათ ადგილობრივ რევოლიუციონურ ელემენტებზე დაყრდნობილ მთავრობის შესაქმნელათ საჭიროა თვითმართველ ორგანოებმა ადგილობრივ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან ერთათ იმოქმედონ.

მიწების კომისიამ, რომელიც არჩეულ იქნა რადის უკანასკნელ სესიაზე უკვე შეიმუშავა კანონი მიწების სოციალიზაციის შესახებ. ეს კანონი უნდა განიხილოს დიდმა ცენტრალურმა რადამ და სახალხო მინისტრთა საბჭომ უნდა ეცადოს, რომ მიწების მშრომელ გლეხობაზე გადაცემა მოხდეს გაზაფხულის მუშაობის დაწყებამდე.

მდინარეები და მადნები, როგორც განძი, რომელიც უკრაინის მშრომელ ხალხის კუთვნილებაა, გადადის რესპუბლიკის განკარგულებაში.

ომმა ჩაყლაპა ყველა სამუშაო ძალა, ყველა ფაბრიკა-ქარხნები ომისთვის მუშაობდენ და ამიტომ ხალხი უსაქონლოდ დარჩა.

ეხლა ომი გათავდა. წინადადებას ვაძლევთ სახალხო მინისტრთა საბჭოს ყველა ფაბრიკა-ქარხნები ხალხის საჭიროების დასაკმაყოფილებლათ აამუშაოს.

ამავე ომმა წარმოშობა აუარებელი უმუშევარნი და ინვალიდები.

დამოუკიდებელ უკრაინის რესპუბლიკაში არც ერთი გაჭირვებული მშრომელი კაცი არ უნდა იყოს. მთავრობამ უნდა შეეცადოს გააძლიეროს წარმოება, რომ ყველა მშრომელს სამუშაო ქონდეს და ამასთანავე ყოველივე ღონე უნდა იხმაროს ომისაგან დაზარალებულთა უზრუნველსაყოფათ.

ვაჭრები და სხვა მრავალი სპეკულიანტები, ღარიბ ხალხს უკანასკნელ გროშებს სტაცებდენ და თავიანთ ჯიბეებს ივსებდენ.

ამიერიდგან უკრაინის სახალხო რესპუბლიკა თვით იღებს ხელში ვაჭრობის მთავარ დარგებს და ამ ვაჭრობიდან ყველა მოგებას მოახმარს სახალხო საჭიროებას.

უცხო სახელმწიფოებთან ვაჭრობას თვით უკრაინის სახელმწიფო კისრულობს, რომ ასეთი სიძვირე აღარ იყოს მომავალში.

სანამ ყველა ამას ცხოვრებაში გაატარებდეს რესპუბლიკის მთავრობა, წინადადებას აძლევს შეიმუშავონ და დასამტკიცებლათ წარმოადგინონ კანონი რკინის, ნახშირის, თამბაქოს და სხვა საზოგადო სახმარებელ ნივთების მონოპოლიის შესახებ.

წინადადებას ვაძლევთ აგრეთვე დააწესონ ყველა ბანკებზე სახალხო კონტროლი, რომ ამიერიდან ბანკის ოპერაციები ხდებოდეს მშრომელ ხალხის საკეთილდღეოთ.

ამასთან რადა აცხადებს, რომ ის და სახალხო მინისტრთა საბჭო მთელი ძალღონით შეებრძოლება ყველა კონტრ. რევოლიუციონერებს და ყველა მას, ვინც მოუწოდებს უკრაინის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, სასტიკათ დასჯის, როგორც სახელმწიფო მოღალატეს.

ვადასტურებთ მესამე უნივერსალის მიერ გამოქვეყნებულ ყველა დემოკრატიულ თავისუფლებებს. ამას გარდა ვაცხადებთ, რომ თავისუფალ უკრაინის რესპუბლიკაში ყველა ერებს აქვთ ნაციონალურ - პერსონალურ ავტონომიის უფლება, რომელიც მიღებულ იქნა 9 იანვრის კანონით.

ყველა, რაც ამ უნივერსალშია აღნიშნული ცენტრალურმა რადამ უნდა განახორციელოს.

ხოლო საბოლოოთ გადაწყვეტის უფლება აქვს უკრაინის დამფუძნებელ კრებას.

ჩვენ მოვუწოდებთ უკრაინის ყველა მოქალაქეთ, მიიღონ ენერგიული მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში, რომ ამ დამფუძნებელმა კრებამ შესძლოს ჩვენ მიერ მოპოებულ ყველა უფლება-თავისუფლების საბოლოოთ განმტკიცება.

უკრაინის დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს, თუ რა გვარი დამოკიდებულება გვექნება ჩვენ რუსეთის ყოფილ იმპერიის ფედერატიულ რესპუბლიკებთან.

მანამდე კი მოვუწოდებთ უკრაინის მოქალაქეთ სიცოცხლე არ დაიშურონ და მთელის ძალღონით ეცადონ დაიცვან უკრაინის რესპუბლიკა.

უკრაინის ცენტრალური რადა.

* * *

მე შენს სახეზე წავიკითხე სევდის ამბავი,
მე შენის ენით მოვისმინე მწარე მოთხრობა,
და მეც შენსავით შევიქენი სევდა—ნაკრავი,
და მეც შენსავით მტარვალთადმი აღმომხდა გმობა.

———

ჩვენ ხომ „ერთობას" ვეძახოდით? ქვეყნის ხსნა გვსურდა?
მაგრამ ქვეყანა ჩაუვარდა სისხლის მსმელ „გმირებს":
თვითმპყრობელობა სულ სხვა სახით კვლავ დაგვიბრუნდა...
თავისუფლების ობოლ საფლავს ვინ დაიტირებს?!

ვ. რუხაძე.

## ეროვნულ საბჭოს სხდომა

21 იანვარს შესდგა საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა ა. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. ამიერ კავკასიის სეიმის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ნოე ჟორდანიამ. მოკლეთ მოხსენება შემდეგს შეიცავდა: დამფუძნებელ კრების გარეკის გამო ამიერ კავკასია თავის ანაბარა დარჩა. იმედი ახლო ხანში რუსეთის დამფუძნებელი კრების შეკრებისა არ არის. ამიერ კავკასია იძულებულია თავის თავს საკუთრათ მოუაროს. არის მრავალი საკითხები, რომელთა გადადება კატასტროფას გამოიწვევს. ამისთვის განზრახულია შეკრება ამიერ კავკასიაში იმ დეპუტატებისა, რომელნიც დამფუძნებელ კრებისათვის იყვნენ არჩეულნი. დეპუტატები გამრავლებენ თავის შემადგენლობას საარჩევნო მეტრის 2-ჯერ ან სამჯერ შემცირებით. დეპუტატები გამოაცხადებენ თავის თავს ამიერ კავკასიის სეიმათ. მათი მთავარი დანიშნულება იქნება შეადგინოს ამიერ კავკასიაში ავტორიტეტული მთავრობა. მოსპოს ანარქია, გადასჭრას ზავის საკითხი, მოაწყოს ამიერ კავკასიის ტერიტორიის გადამიჯვნა ეროვნულ მოსახლეობის მიხედვით, რომელთაც შემდეგ ამისა მოუვლიან ეროვნული თვითმართველი ერთეულები, არჩეული საყოველთაო საარჩევნო წესით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ამიერ კავკასიაში წესიერების დამყარება. თვითეული ერის თვითმართველობა უფრო კარგათ დაიცავს თავის საკუთარ ტერიტორიას ანარქიისაგან. აი რა მოთხოვნილებით უნდა წარსდგეთ ჩვენ სეიმში და მხარი დავუჭიროთ მასო. ეს არ იქნება საშუალება ყველა ბოროტებისაგან თავის დასახსნელათ, მაგრამ ეს არის გამოსავალი გზა, რომელმაც შეიძლება თავს აგვაცილოს მოსალოდნელი კატასტროფაო. ამის შემდეგ ფედერალისტების მოთხოვნით კრება შესწყდა ათი წუთით. კრების განახლებისას ნაც.-დემოკრატების სახელით გერ. ქიქოძე აცხადებს, რომ მენშევიკების მიერ არჩეული გზა ვერ არის სწორი. ჩვენ თავი უნდა დავანებოთ სხვა ერების ერთიმეორეში მორიგების ცდას და მხოლოდ ჩვენს საკუთარ თავზე უნდა ვიზრუნოთო. რაც შეეხება სომეხ-თათართა მორიგებას, ეს იმდენათ ძნელი საქმეა, რომ ჩვენი ენერგიის დახარჯვა უნაყოფოთ ჩაივლისო. ისე კი, ჩვენ მაინც ვაცლით მენშევიკებს ამოსწურონ თავიანთი ილიუზია, სანამ არ დარწმუნდებიან თავიანთი ცდის უნაყოფობაშიო. ჩვენ მხარს დაუჭერთ სეიმს „იმდენათ-რამდენათ" პრინციპით და შესაფერ ოპოზიციას ვაწარმოებთო. ს. ფედერალისტების მხრით გიორგი ლასხიშვილი მხარს უჭერს მომხსენებელს, რადგანაც მასში ხედავს განხორციელებას ეროვნ. თვითმართველობის პრინციპისას. აგრეთვე მხარს უჭერს მომხსენებელს ესერების წარმომადგენელი გრ. ნათაძე. გერ. ქიქოძეს პასუხი გასცა ამხ. ე. გეგეჭკორმა, რომლის აზრით ილიუზია მენშევიკების შეხედულება კი არაა, ილიუზია ნაც.-დემოკრატების შეხედულებაა, რომელთაც ჰგონიათ, რომ თუ ჩვენ ამიერ-კავკასიის მასშტაბით არ ვეცადეთ ანარქიასთან ბრძოლა, ჩვენში შევიძლებთ წესიერების დამყარებას. საჭიროა მეზობელ ერთა ერთმანერთში მორიგება, თორემ ჩვენ გვერდით დაწყებული ანარქია, ჩვენშიდაც გადმოხეთქს და სიცეთეს არ დაგვაყრისო. მომხსენებლის სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო ნოე რამიშვილის შემდეგი ფორმულა: კრება იზიარებს მომხსენებლის მთავარ თეზისებს და გადადის მორიგ საკითხებზე.

## ჯარში გაწვევის საკითხი

19 იანვარს ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით მოხდა კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის და თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შეერთებული სხდომა. ნოე რამიშვილმა გააკეთა მოხსენება ჯარში გაწვევის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ანარქიისა და გაზაფხულზე ქურთების მხრით მოსალოდნელ თავდასხმისაგან თავის დასაცავათ საჭიროა სერიოზული სამხედრო ძალა. რევოლიუციონური ორგანიზაციები უკვე შეუდგენ სახალხო მილიციის მოწყობას 18—45 წლიანებისაგან. მაგრამ მილიციის მოწყობისათვის საჭიროა დრო. შეიარაღებული სამხედრო ძალა კი საჭიროა დაუყონებლივ. ამიტომ უნდა გავაძლიეროთ და შევავსოთ არსებული ნაციონალური სამხედრო ნაწილები. ჯარი თანდათან იშლება. აუცილებელია 32, ზოგიერთ შემთხვევებში კი 25 წლიანების განთავისუფლება. უნდა შევავსოთ ეს ნაწილები. ამიტომ უნდა გავიწვიოთ 1899 წ. დაბადებულები და ყველა ახალგაზდები 25 წლამდე, რომლებიც რაიმე მიზეზით არ იმყოფებიან ჯარში. ყოველგვარი შეღავათები გაუქმებულია. გაანთავისუფლებენ მხოლოდ დედის ერთას. ჯარში გაიწვევენ 6 თვით. ტანისამოსი 40—50 ათას ჯარისკაცისათვის საკმარისია. ცოტა სიძნელეს იწვევს სასურსათო საკითხი. ფრონტზე სურსათი იკმარებს 3—4 თვეს. უკან მყოფი ჯარი კი განაწილდება მაზრებში და თუ სურსათი არ იქნა, ადვილათ შეიძლება მათი სახლში გაშვება. ჯარში გაწვევა უნდა მოხდეს დაუყონებლივ, ვინაიდან ანარქია თანდათან ძლიერდებაო,—სთქვა მომხსენებელმა.

ილ. ქარცივაძე ამბობს, რომ ამიერ კავკასიაში არ მოიპოვება ჯარის შესანახათ საჭირო სურსათი და არც არის იმედი, რომ მას მალე მივიღებთ. მობილიზაცია საჭიროა, მაგრამ იგი უნდა მოვახდინოთ მაშინ, როცა მდგომარეობა გვექნება გათვალისწინებული რამდენიმე თვით. ვლ. გობეჩია აცხადებს, დღევანდელ პირობებში ყოვლათ შეუძლებელია დაწვრილებითი გეგმის შედგენა. საკმარისია თუ სამაზრო ქალებში, სადაც ჯარი უნდა შეგროვდეს დავამზადებთ ორი კვირის სამყოფ სურსათს. სტრელკოვსკი მოითხოვს სახალხო მილიციის შედგენას.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დღევანდელ პირობებში ორი კვირის საყოფი სურსათის დამზადებაც დიდი საქმეა. ჯარი კი საჭიროა დაუყონებლივ.

ილ. ქარცივაძის წინადადება ჯარში გაწვევის შესახებ დეკრეტის განხილვა მოხდეს მაშინ, როცა სამი კვირის საყოფი სურსათი იქნება დამზადებული. კრებამ ხმის დიდი უმეტესობით უარყო. მიღებულ იქნა წინადადება გაიწვიონ ჯარში 1899 წ. დაბადებულები და ყველა ახალგაზდები 25 წლამდე. ამ წინადადებას ხმა მისცა 36 წევრმა, წინააღმდეგ მისცა ხმა 22, თავი შეიკავა 30-მა.

დაშნაკელების წინადადება გაიწვიონ ჯარში 32 წლამდე, კრებამ უარყო.

ყოველგვარი შეღავათი გაუქმებულია. გაანთავისუფლებენ მხოლოდ დედის ერთას.

ამიერ კავკასიის კომისარიატს მიენდო გამოარკვიოს, თუ რა დარგის მოსამსახურენი იქნებიან განთავისუფლებული (რკინის გზის, ფოსტა-ტელეგრ. და სხ.). მუსულმანების შესახებ საკითხი ცალკე გაირჩევა. ნაციონალურ სამხედრო ნაწილში სამსახური არ არის სავალდებულო. ვისაც სად უნდა იქ იმსახურებს.

შემდეგ კრებამ მოისმინა რამდენიმე მოხსენება განჯის გუბერნიაში მომხდარ ამბების შესახებ და შეუდგა საკითხის განხილვას, თუ როგორ უნდა მოხდეს შემდეგში ეშელონების გაგზავნა. გადასწყვიტეს, რომ ჯარის სამხედრო წესით გავლა განჯის გუბერნიაში გამოიწვევს მათ განადგურებას. თუ ეშელონები გადასცემენ იარაღს რომელიმე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა საგანგებო შერეული რაზმისა და ჯავშნიანი ავტომობილების დაცვის ქვეშ მათი გატარება განჯის გუბერნიიში, ვინაიდან იარაღი იზიდავს უმთავრესათ მუსულმანებს. რკინის გზაზე უნდა მოეწყოს [illegible]—6 [illegible]მაგრე, რომ შესაძლებელი გახდეს შეიარაღებულ ბრბოსთან ბრძოლა და გზის დაცვა. ამ ზომების განხორციელება შესაძლებელია მაშინ, როცა ყველა რევოლიუციონური ორგანიზაციები და პარტიები იმუშავებენ თანხმობით და შეაგონებენ ჯარისკაცებს, რომ განჯის გუბერნიაში არ წავიდენ იარაღით ხელში.

## სოც.-დემ. პარტიაში

ფოთი. 12 იანვარს მოხდა ფოთის ს.-დ. ორგანიზაციის ძველი კომიტეტისა და ახლათ არჩეულ კომიტეტის შეერთებული კრება. თავმჯდომარეობს ამხ. ლ. კილურაძე. ძველი კომიტეტის მოქმედების შესახებ გამოდის თვითონ თავმჯდომარე ძველი კომიტეტისა ამხ. ლ. კილურაძე. ამხ. მომხსენებელი ასწერს რა ძველი კ—ტის მუშაობას, არკვევს, თუ რა გააკეთა მან, რის გაკეთება ვერ შესძლო და რა შეცდომები დაუშვა. ძველმა კომიტეტმა მოახდინა რეორგანიზაცია პარტიულ ცხოვრება-მუშაობაში. უწინ ქალაქი დაყოფილი იყო ორ კოლექტივათ, რომელთა ხელმძღვანელობას უწევდა კომიტეტი, მაგრამ კოლექტივები გამოუსადეგარი გამოდგა ადგილობრივათ პარტიულ მუშაობისათვის. კოლექტივები თავიანთ რაიონებში ვერ მართავდენ, როცა ეს საჭირო იყო საერთო კრებებს. მაგ., საოლქო პარტიულ ყრილობაზე დელეგატების ასარჩევათ ჩვენ დროზე ვერ მოვახდინეთ საერთო კრებები. ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ რეორგანიზაციის მოხდენა შემდეგ საფუძველზე: კოლექტივები გავაუქმეთ და მთელი ქალაქი დავყავით, ტერიტორიის და მიხედვით რვა უბნათ. თვეში ერთხელ ან ორხელ თითო უბანი ახდენს თავის რაიონში კრებას, რომელზედაც კომიტეტის წარმომადგენელი და სხვა მოწინავე ამხანაგები აკეთებენ მოხსენებებს მომენტის შესახებ, პარტიულ ცხოვრებაზე და მუშაობაზე და სხ. ასეთ კრებებზე ირჩევენ დელეგატებს. კრების მოსახდენათ თითო უბანი ნიშნავს განსაზღვრულ დღეს. იმისდა მიხედვით, თუ რამდენი წევრია უბანში, ეს უკანასკნელი ირჩევს 1, 2 და 3 თავის წარმომადგენელს ორგანიზაციის კომიტეტში. ამ წარმომადგენლებიდან შესდგება კ—ტი. კომიტეტში, როგორც უწინ, შედის 15 კაცი. თითო უბანს ჰყავს თავისი მდივანი და ორი მისი თანაშემწე—ორგანიზატორი. ასეთ ნიადაგზე მოწყობა პარტიულ ცხოვრებისა უთუოდ კარგ შედეგებსაც მოიტანს. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში ჩვენი კომიტეტი მუდამ ატარებდა საოლქო კ—ტის ტაქტიკას. ბალშევიკები აქ მეტათ სუსტნი არიან და ამიტომ იყო, რომ ისინი საბჭოში თითქმის არ სჩანდენ. რაც შეეხება „ალიონისტებს", ისინი მუდამ ჩვენთან მუშაობდენ და სეპარატიულათ არ გამოსულან და არც აპირობენ ამას. როცა განახლებულმა ქალაქის თვითმართველობამ დაიწყო მუშაობა, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს საქმეების დიდი უმრავლესობა სრულიად ბუნებრივათ გადავიდა პირველის ხელში. გასაკეთებელი საქმეები ბევრია, მაგრამ ქალაქის თვითმართველობაში არ გვყოფნის ამხ—ბი. ამიტომ იყო, რომ ჩვენ საჭიროთ დავინახეთ, ქალაქის გამგეობისათვის მიგვემატებია კიდევ ერთი წევრი. მაგრამ საფინანსო კომისიის მოხსენების შემდეგ ჩვენ იძულებული შევიქენით, გადაგვედო ეს საკითხი სხვა დროისათვის. ქალაქის მეურნეობა ძლიერ რთული საქმეა. ამიტომ ძველმა კ—ტმა მიმართა ქალაქის გამგეობას, რომელსაც ჩვენი ამხ—ბი შეადგენენ თხოვნით, რომ მას გამოემუშავებია ერთგვარი სისტემა, გეგმა თავის მოქმედებისა და გაეცნო მანთან ჩვენი კ-ტი შესაფერ ცვლილებათა შესატანად. ქალაქის თავიც დაგვპირდა მოხსენების გაკეთება კ-ტის ერთ-ერთ კრებაზე. მაგრამ მას ქალაქის საქმეების გამო უხდებოდა მოგზაურობა და კ-ტის კრებას ის ჯერ ვერ დასწრებია: ქალაქის საბჭოს ფრაქცია სრულებით ემორჩილებოდა კ-ტის დირექტივებს.—დამფუძნებელი კრების არჩევნები ფოთში ჩვენი პარტიის გამარჯვებით დამთავრდა. ჩვენს ორგანიზაციაში ირიცხება 1500 წევრი, მაგრამ მას თანამგრძნობიც ბევრი აღმოაჩნდა: მან მიიღო 1729 ხმა—მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში. ამ ორი თვის წინათ ისეთი მდგომარეობა იყო შექმნილი, რომ „პოგრომის" შიშით ჩვენ ვმოქმედობდით ძალიან ფრთხილად. ეხლა ეს არა სასურველი პირნი საბჭოში არ იმყოფებიან: ისინი წავიდენ თავიანთ ამომრჩევლებთან რუსეთში, ამ რიგათ საბჭოში მუშაობა ეხლა ნორმალურ კალაპოტში დგება. პროფესიონალურ კავშირების გაძლიერება შესაძლოა. ძველმა კ-ტმა მოასწრო მხოლოდ საქმის დაწყება, ხოლო მისი გაძღოლა აწი ახალი კ-ტის ხელშია. კოოპერატივები ფოთში რიგიანათ ვერ მუშაობენ: ძველი კ-ტი შეეცადა ეს ნაკლი გამოესწორებია, მაგრამ ამაოდ. გამგეობაში ვერ მოჰყვენ შესაფერი პირები. მალე მოხდება კოოპერატივებში არჩევნები. ახალმა კ-ტმა მათ სათანადო დახმარება უნდა აღმოუჩინოს შესაფერ კანდიდატების წარდგენით ამ არჩევნებში.—სასურსათო საქმე ფოთში, მიუხედავათ ხალხის უკმაყოფილებისა, გაცილებით უფრო კარგადაა დაყენებული, ვინემ სხვა ქალაქებში, ხალხის უკმაყოფილება ადვილი ასახსნელია ამ საერთო სასურსათო კრიზისის დროს. სასურსათო საქმე მოკლე ხანში უნდა გადავიდეს ქალაქის თვითმართველობის ხელში.

ძველი კომ-ტის არსებობის დროს მოხდა წ.-კ. გ. საზ-ბის ფოთის განყოფილების გამგეობის არჩევნები. ძველ გამგეობას არაფერი გაუკეთებია, ახალ გამგეობას საქმეები აწეწილ დაწეწილი დახვდა. ახალ გამგეობაში შედიან მხოლოდ ჩვენი ამხანაგები, რადგანაც სხვა პარტიები არ გამოცხადდენ, გარდა ფედერალისტებისა, რომელთაც მუშაობას გაბუტვა არჩიეს.—ფოთში, როგორც მოგეხსენებათ, არსებობს რამდენიმე დემოკრატიული ორგანიზაცია (ნახუტურის, ახ. სოფელის).

ამ დემოკრატიულ ორგანიზაციებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქურდ-ბაცაცებთან ბრძოლაში. ახალმა კ—ტმა, როგორც ამას ძველი შვრებოდა, ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ამ დემოკრატიულ ორგანიზაციებს.—სკოლის ნაციონალიზაციის საქმე კარგათ მიდის. ვ. ჩ—ის საქმის საბოლოოდ გამორკვევა ბედმა არგუნა ახალ კომიტეტს. დამფ. კრების არჩევნების დროს კ.—ტთან დაარსდა პროპაგანდისტთა წრე, მაგრამ ეს წრე, არჩევნების შემდეგ, თითქმის დაიშალა, ვინაიდან მისი თავმჯდომარე მრავალ საქმეებშია ჩათრეული და საამისოთ მას არ სცალია.—პოლიტიკური კლუბის გამგეობა საქმეს კარგად გაუძღვა. გამართა მრავალი ლექციები, მოხსენებები და სალამოები. ორგანიზაციას კლუბი დიდ ნივთიერ დახმარებას უწევს.

გადაწყვეტილი გვქონდა ადგილობრივად ყოველკვირეულ გაზეთის გამოცემა, მაგრამ ქაღალდის უქონლობისა გამო ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა. ფოთში როგორც მოგეხსენებათ, არსებობს ქალთა საზ-ბა. მას მეთაურობენ ჩვენი ამხ.-ბი ქალები. საზ.-ბა კულტურულ-განმანათლებელ როლს ასრულებს და მისი მუშაობა კარგადაც მიდის. მოხსენების შემდეგ კრება გადადის მორიგ კითხვებზედ, თბილისში მოწვეულ ფოსტა-ტელეგრაფის სიეზდზედ ერთხმად არჩეულ იქმნენ ამხ. დავლიანიძე და ხელიძე.— გ. საბაშტარიშვილის თხოვნა საბჭოს ხმოსნობიდან განთავისუფლების შესახებ მიღებულ იქმნა. ვ. ჩ.—ძის საქმის გამოსაძიებლათ კიდევ ერთხელ და უკანასკნელად არჩეულ იქნა კომისია 3 კაცისაგან. თფილისში მოწვეულ პარტიულ თათბირზედ მობილიზაციის შესახებ დელეგატებათ კრებამ აირჩია ამხ. დ. ონიაშვილი და ვ. ქადეიშვილი.

შ. ჩ—ია.

# მუშათა შორის

**ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეთა "ცხოვრებიდან.**

ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს, როდესაც მექრთამეობას და პროტექციას დიდი გასავალი ჰქონდა, აი მაშინ ბუფეტის იჯარით აღების საქმე მხოლოდ „ბედნიერთ და ჯიბე-სქელ" პირების ხვედრი იყო.

ბუფეტების გაცემის წესი ასეთი იყო ხოლმე რკინის გზებზე: სამს წელიწადში ერთხელ, ე. ი. ოქტომბერში ხდებოდა იჯარით გაცემა ბუფეტებისა რკინის გზის სამმართველოში. მსურველებს წინდაწინ ურიგდებოდათ განცხადებები იჯარით ვაჭრობის დღის დანიშვნის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო შემდეგი: „რკინის გზა სრულ უფლებას იტოვებს ბუფეტების გაცემის დროს უპირატესობა მისცეს უფრო საიმედო პირებსო". საიმედო პირებათ-კი ვინ იყვნენ დასახელებულნი? ესენი გახლდენ, როგორც თავში მოგასსენეთ ჯიბე სქელი მოიჯარადრენი, რომელთაც საქმე უკვე გამოჭახრაკებული ჰქონდათ რკინის გზის სამმართველოს მამების წინაშე და თუ გამოცხადდნენ ხალხის საყურადღებოთ განცხადებებს, ეს მხოლოდ ფორმისთვის, ნამდვილათ-კი ბუფეტების მოიჯარადრეთა სია ყოველთვის წინასწარ იყო შემუშავებული. ამას გარდა ასეთი წესი იყო კიდევ რკინის გზაში გამეფებული: მაგალითად მოიჯარადრე იღებდა 1500 მანეთათ სადგურის ყველა არსებულ საჭმელროებს: პირველ კლასის და მესამე კლასის ბუფეტებს და სავაჭრო ბუდკას. შემდეგ ამისა—პირველი კლასი მის სრულ განკარგულებაში რჩებოდა, მხოლოდ დანარჩენი ორი საგაჭრო იცემოდა იჯარით 4000—5000 მანეთში და ამ რიგათ მოიჯარადრის ჯიბეში ასე უზრუნველათ დიდი მოგება გადადიოდა წლიდან-წლობამდე. აი ამ გზით და ამ რიგათ მდიდრდებოდენ ერთი მუჭა მოიჯარადრენი.

ბუფეტებში მომუშავენი-კი? ესენი მხოლოდ ეწეოდენ შრომას მცირე ფასებში და ვინ იცის რამდენი შეურაცყოფის მორევში სცურავდენ. ეს ხდებოდა რევოლიუციამდე, რევოლიუციის შემდეგ კი სულ სხვას მოველოდით, სულ სხვა ცვლილებას და დარწმუნებული ვიყავით, რომ როგორც სხვა დაწესებულებებში და სხვა დარგის წარმოებაში, აქაც მოხდებოდა ცვლილება დემოკრატიულსა და სამართლიანობის ნიადაგზე. მაგრამ მოვსტყუვდით. ბუფეტების გაცემა წელსაც იმ წესით და ისეთივე უსამართლობით მოხდა, როგორც ძველათ ხდებოდა და რატომ რკინის გზის ცენტრალურმა რევოლიუციონურმა კომიტეტმა არ გაითვალისწინა ეს საქმე, ბუფეტებში მომუშავე დემოკრატიას ძალიან გვაღელვებს.

ჩემი წერილის მიზანია, რომ ყველას გაეცნოთ ის უსამართლობა, რომელიც ბუფეტების გაცემის დროს გამეფებული იყო ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე; მინდა ვამცნო ვისაც ჯერ არს მიაქციოს ყურადღება ამ საკითხს და ბუფეტების გაცემის დროს დემოკრატიული პრინციპებით იხელმძღვანელონ და დემოკრატიის ინტერესები უფრო მაღლა დააყენონ, ვიდრე ერთი მუჭა—შეძლებული ხალხისა.

საჭიროა ბუფეტები მოსამსახურეთა მიერ შემდგარ არტელებს გადაეცეს, დემოკრატიის ხელში გადავიდეს და გარწმუნებთ, რომ დემოკრატია უფრო მოვლის საქმეს და უფრო რიგიანობას დაამყარებს იქ, ვიდრე დიდი მოგებით წათამამებულ „ხაზეინები".

მოუწოდებ ამიერ კავკასიის რკინის გზებზე ყველა ბუფეტებში მოსამსახურე-მომუშავეთ აღიმაღლონ თავიანთი ხმა ამ საკითხის შესახებ და მოითხოვონ ბუფეტების სრული დემოკრატიზაცია.

სად. მიხაილოვის ბუფეტში მომუშავე **დიმიტრი ეფრემისძე მორჩილაძე.**

# პროვინცია

**ბორჯომი.** 13 იანვარს მოხდა ს. დ., ს. ფ. და დაშნაკელების შეერთებული კრება, რომლის მიზანი იყო ბორჯომში ინტერპარტიულ - ინტერნაციონალური საბჭოს დაარსება. კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: მიზანი და ფუნქციები ინტერპარტ.-ინტერნაც. საბჭოსი, მისი დამოკიდებულობა ბორჯომში არსებულ ორგანოებთან, ფინანსი და სხვა მიმდინარე კითხვები. სანამ კრება გაიხსნებოდა, წინადადება შემოვიდა, რათა განსაზღვრულ იყოს პარტიების წარმომადგენელთა რიცხვი, რომლებიც ისარგებლებენ კრებაზე გადამწყვეტი ხმით. ს. დ. ფრაქციამ, მიიღო რა მხედველობაში პარტიების ძალთა განწყობილება განაცხადა, რომ კრებაზე გადამწყვეტი ხმით უნდა ისარგებლოს 15-მა ს.-დემოკრატებმა, 5 ფედერალისტების და 5 დაშნაკელების წარმომადგენლებმაო. ფედერალისტები და დაშნაკელები ამის წინააღმდეგ წავიდნენ და მოითხოვენ თანასწორ წარმომადგენლობას,—ხუთ-ხუთს თითო პარტიიდან, რაშიაც ს. დ. არ ეთანხმებოდენ. ფედერალისტებმა შემოიტანეს წინადადება, რომლითაც იგინი პრინციპიალურად ღებულობდენ ს. დ. წინადადებას, ხოლო იტოვებენ კრებიდან წასვლის უფლებას, თუ კი დაინახავდენ მუშაობის შეუძლებლობას. ეს წინადადება კრებამ ერთხმად მიიღო და შეუდგა საბჭოს მიზნის და ფუნქციების განხილვას. ს.-დემოკრატების შეხედულობით ამ ჟამათ ინტერპარტიულ-ინტერნაციონალურ საბჭოს უმთავრესი მიზანი იქნება საერთო თავდაცვის საკითხების გარკვევა, რომლის დროს საბჭო უნდა მოქმედებდეს მუშათა და გლეხთა საბჭოს აღმასრ. კომიტეტთან შეთანხმებით. ფედერალისტები კი მოითხოვდენ ყველა არსებულ ორგანოების ინტერპ.-ინტერნაციონ. საბჭოს დაქვემდებარებას, რაიც ს. დ. კატეგორიულად უარყვეს. ბოლოს ფედერალისტები და დაშნაკელები იძულებული გახდენ მიეღოთ ს. დ. წინადადება. ამის შემდეგ მოხდა საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა, რომელშიაც მიეცა: ს.-დემოკრატებს 5 ადგილი, ფედერალისტებს 2 და დაშნაკელებს 2. ამ ნაირათ საბჭოს პრეზიდიუმი შესდგა 9 პირისაგან. არჩეულ იქნენ: ს.-დემოკრატებიდან ექ. ს. კანდელაკი, მიხ. ახალაძე, ნ. ნახიძე, ვ. ქავთარაძე და ს. კოტიშაძე. ფედერალისტებიდან პ. გეგეჭკორი და გ. ვაშაკიძე. დაშნაკელებიდან გ. მურადოვი და კ. აკოფოვი.

ნოდე.

**საგურამოს რაიონი** (დუშეთის მაზრა). საგურამოს საზოგადოება შესდგება 23 წვრილ სოფლისაგან და შეიცავს 1500 კომლს. სწავლა-განათლების მხრით ეს რაიონი ძლიერ ჩამორჩენილია. მთელ რაიონში მხოლოდ ორი-სამი სკოლაა და, საუბედუროთ, შეგირდთა რიცხვი მცირეა. აღსანიშნავია მხოლოდ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა, საცა სწავლა-განათლების საქმე სასურველ დონეზეა დაყენებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მასწავლებელთა სიმცირეს ამ სასწავლებელში.

შიმშილი საშინელ სახეს იღებს აქ. ცხრა მეათედი მცხოვრებლებისა დამშეულია. უბედურები წარა-მარა დარბიან და შველას ითხოვენ, მაგრამ ვინ რას მისცემს, როცა ყველას გაჭირვება ცხოვრება! უმოქმედობას იჩენს საგურამოს სასურსათო კომიტეტი, რომელიც ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ რაიონს. მთელი რაიონის სალაპარაკო დღეს მხოლოდ პური გამხდარა. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამას და დროზე ეშველოს, თორემ ბოლოს გვიანღა იქნება.

ნათქვამია—უბედურება უბედურებას მისდევსო. სწორეთ ასე ითქმის ჩვენს რაიონზე. ისედაც შეწუხებულ და ულაჯო ხალხს სხვადასხვა ავადმყოფობებიც გაუჩნდა, რომელთა შორის ყველაზე უფრო გახშირებული და საშინელი ყვავილია. ისე დღე არ ვავა, რომ ხუთი ექვსი არ იმსხვერპლოს. ადგილობრივი ფერშალი კი, ბ. ბიქტორ ელიავა, რომლის რეზიდენციაში სოფ. ქოპორტი ითვლება არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამას. არა ერთხელ და ორხელ გამოუსტუმრებია აღნიშნულ ფერშალს ლანძღვა-გინებით ხალხი, როცა უკანასკნელი მასთან დახმარებისთვის მისულა. ადგილობრივმა კომისარიატმა ორჯერ-სამჯერ დადგენილება გამოიტანა მის გაძევების შესახებ, მაგრამ ეს ვაჟბატონი ისევ განაგრძობს ძველებურ საქმეებს... ის თურმე კვეხულობს კიდეც—„ჩემი დათხოვა არავის არ შეუძლია, როგორც მინდა ისე მოვიქცევიო". საჭიროა ამას ეხლავე მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს. რის მაქნისია ისეთი ფერშალი ან ექიმი, რომელიც ასე გულცივათ ეკიდება საზოგადოებას, მერე ისიც მაშინ, როცა გასაკეცებული შრომა და დაუზარებელი მუშაობაა საჭირო.

გასულ კვირას ულმობელმა სენმა ორი პატიოსანი მუშაკი გამოასალმა წუთისოფელს.

ერთი მათგანი ზეგნაკორელი სოსო ქარჩაიძე, გლეხთა საბჭოს წევრი. განსვენებული ცნობილი იყო ჩვენში, როგორც პატიოსანი მუშაკი და ჩუმი მოღვაწე.

მეორე ნავდარაანთკარელი გიორგი პაპუჩელაშვილია, რომელსაც არა ნაკლებ იცნობდა ჩვენი რაიონი და, რომელსაც ყველაზე დიდი ამაგი მიუძღვის სოფ. ბოკოწინის კოოპერატიული მაღაზიის დაარსების საქმეში.

დასასრულ უნდა აღენიშნოთ, რომ საგურამოს რაიონში აქა-იქ თავი წამოჰყვეს დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა, რომლებიც აფრთხობენ სოფლელებს და უკანასკნელ სამოსელს ჰხდიან, ისედაც გაძვალტყავებულ მცხოვრებლებს. აღსანიშნავია, რომ ყოფილი მილიციონერიც ბ. ს. ოზიაშვილიც შეუერთდა მათ ჯგუფს, თუმცა სარაიონო კომიტეტისაგან არა ერთხელ ყოფილა აღძრული საჩივარი უკანასკნელზე სამაზრო კომისარიატში.

სოფელი ძლიერ საჭიროებს ხელსაქმის მასწავლებელ ქალს, რომლის მოწვევის შესახებ დადგენილებაც კი გამოიტანა ადგილობრივმა კომისარიატმა. ეს დად- [illegible]

ს-ძ.

**ხენაკი.** [illegible]

ჩაგრული.

**ლაკ. სახელი.** 12 იანვარს [illegible]

ამ. მონ. არ. იმნ... [illegible]

**სუფსა.** 7 იანვარს შესდგა [illegible]

## ფონდი

მიღებულია 78 მანეთი [illegible]

1917 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში ქ. ბათუმში

## დაკარგე

[illegible]

## ექიმი ვ. გ. ვეზებაძე

[illegible]

## ექიმი ზ. დონიძე

[illegible]

## ექიმი კ. ი. მხარაძე

[illegible]

## ჩვენი ხალხის საყურადღებოდ ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად

მიიღება ერევნის მოედანზე [illegible] დილის 11-დან 5 საათამდე.

## თბილისის ქალაქის გამგეობის საყურადღებო დადგენილება

1) 1 თებერვლიდან [illegible]

2) იანვრის [illegible]

3) [illegible]

4) [illegible] 6 საათიდან [illegible]

5) ბინის კომიტეტები [illegible]

(3—2) თბილისის ქალაქის გამგეობა.

# მოქალაქენო!

**შეკავშირდით სახლის ორგანიზაციებში და ამოირჩიეთ სახლის კომიტეტები.**

მძიმე და აუტანელმა დრომ, რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით და რომელმაც გამოიწვია ტრანსპორტის მოშლა და ზოგ ადგილას კი მისი სრულიად შეწყვეტა,—უმწვერვალესად გაამწვავა სასურსათო საკითხი. ამ გაჭირვების ცოტათი შესამსუბუქებლათ და პროდუქტების დროზე მიღების მოსაწყობათ აუცილებელია თვითეულ რაიონის მოქალაქეთა თვითმოქმედება, ამისთვის კი საჭიროა მოქალაქეთა ბინის ორგანიზაციებში შეკავშირება.

პროდუქტების მიღებაში დაურწმუნებლობა (ყველაზე უფრო კი პურის) და უსურსათოდ დარჩენის შიში მოქალაქეს იძულებულს ყოფს მთელი საათები იდგეს გრძელ რიგებში დუქნის გახსნამდი. ამ კუდების ბოლოს მოსაღებათ კი აუცილებლათ საჭიროა მოქალაქეთა სახლის ორგანიზაციებში შეკავშირება.

რიგებში დგომით უსაფუძვლოთ დროს კარგვა და გულსაკლავი ლოდინი საზიანოა არა მარტო კერძო პირისათვის და ოჯახისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. და აი ვისაც სურვილი აქვს ებრძოლოს ამ ბოროტებას, მან უნდა გასწიოს აგიტაცია და ხელი შეუწყოს მოქალაქეთა დაჩქარებით ბინის ორგანიზაციებში შეკავშირებას.

სხვა ქალაქებში მოწყობილმა ასეთმა ორგანიზაციებმა გამოიღეს ნაყოფი და ბოლო მოუღეს შეუწყვეტელ გრძელ კუდებს და სასურსათო ბარათებით ბოროტმოქმედებას. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ გაკვეთილით და რაც შეიძლება დაჩქარებით შეკავშირდეთ **სახლის ორგანიზაციებში.**

სახლის ორგანიზაციების მიზნები და სამოქმედო ასპარეზი ფრიად ფართეა და შესაფერ გზას უხსნის თვითეულ მოქალაქის თვითმოქმედებას და ინიციატივას. იჩქარეთ გაეცნოთ მას და მოითხოვეთ უფასოთ სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტი და ინსტრუქციები თუ როგორ უნდა შეკავშირდეთ სახლის ორგანიზაციებში.

ვინც სარგებლობს გრძელი კუდებით, მოქალაქეთა გაბოროტებით და აღშფოთებით და სასურსათო ბარათების ბოროტმოქმედებით ის იქნება მხოლოდ სახლის ორგანიზაციების წინააღმდეგი. მოქალაქენო! ნუ მიაქცევთ მათ ყურადღებას და დაუყონებლივ შეუდექით **სახლის ორგანიზაციებში შეკავშირებას.**

სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტი, დაბეჭდილი ინსტრუქციები და ყოველივე ახსნა-განმარტების უფასოთ მიღება შეიძლება უბნის საბარათო ბიუროებში დილის 9 საათიდან 1 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

**შეკავშირდით სახლის ორგანიზაციებში და ამოირჩიეთ სახლის კომიტეტები.**

(3—2) თბილისის ქალაქის გამგეობა.

# სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტი

(გამომუშავებული განსაკუთრებულ სასურსათო საკრებულოს კომისიისაგან)

**I სახლის ორგანიზაციების მიზანი.**

1) სასურსათო კრიზისის შემსუბუქება: (პურის, შაქრის და სხვა პროდუქტების რიგებთან ბრძოლა).

2) სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა და აგრეთვე სახლის დამქირავებელთა და ბინის დამქირავებელთა შორის ურთიერთობის მოწესრიგება.

3) ბინის დამქირავებელთა და მათ მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების მოწესრიგება.

4) სახლების სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესება.

5) ბინის ნაკლებობის წინაღმდეგ ბრძოლა.

6) ბინების დაცვა.

7) სახლების და ბინების შესაფერად მოწყობა. და სხვ.

**II სახლის ორგანიზაციების შემადგენლობა.**

სახლის ორგანიზაციების წევრათ ითვლება ყველა, ვინც კი ცხოვრობს სახლის ტერიტორიაზე, არის 18 წლის და გადახდილი აქვს დადგენილი გადასახადი.

**III სახლის ორგანიზაციების მმართველობა.**

სახლის ორგანიზაციების საქმეებს განაგებს:

ა) საერთო კრება.

ბ) ბინის კომიტეტი.

საერთო კრება ითვლება კანონიერათ თუ კრებაზე გამოცხადდა ყველა წევრთა ერთი მეხუთედი (ან ბინის წარმომადგენელთა ერთი მესამედი) თუ ვინიცობაა საერთო კრებაზე არ გამოცხადდა საკმაო წევრთა რიცხვი, კრება იწვევა მეორეთ ორი დღის განმავლობაში და ჩაითვლება კანონიერათ რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

საერთო კრება ირჩევს **სახლის კომიტეტს** (თავმჯდომარეს, მდივანს და სხვ. სხვადასხვა თანამდებობაზე საჭირო პირებს ირჩევს ერთმანეთს შორის თვით ბინის კომიტეტი). და 3 პირისაგან შემდგარ სარევიზიო კომისიას, ეს უკანასკნელები არ უნდა შედიოდენ ბინის კომიტეტში.

საერთო კრება იწვევა თვეში ერთხელ.

საერთო კრებაზე კითხვები იჭრება ხმის უმეტესობით, ხოლო ხმების თანასწორათ გაყოფვის დროს გადამწყვეტი ხმა თავმჯდომარეს ეკუთვნის.

სახლის კომიტეტი განაგებს სახლის ორგანიზაციების საქმეებს, მოჰყავს სისრულეში საერთო კრების ყველა გადაწყვეტილება. და თავის მოქმედებაზე ანგარიშს აძლევს საერთო კრებას წელიწადში ორჯერ.

**IV სახლის ორგანიზაციების საშუალებანი.**

1) სახლის ორგანიზაციების შემოსავალს შეადგენს საწევრო გადასახადი. თვითეული წევრი იხდის შესასვლელ და ყოველ თვიურ გადასახადს, რომელსაც გამოიმუშავებს საზოგადო კრება.

2) შემოწირულება.

3) სპეციალურ მიზნებისათვის შეწერილი გადასახადი.

სახლის კომიტეტებს აქვთ თავისი ბეჭედი, რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს ქუჩა და ბინის ნომერი. 3—2

# ინსტრუქცია

**შესახებ იმისა, თუ როგორ მოაწყონ სახლის კომიტეტები.**

2—3 მდგმური (საინიციატივო ჯგუფი) იწვევს სახლის ყველა მდგმურთა ორგანიზაციულ კრებას. კრების მოწვევას ისინი აცნობებენ ორი დღით ადრე სახლში მცხოვრებთ დასანახ ადგილზე რამოდენიმე განცხადებების გამოკვრით.

**შენიშვნა:** თუ სახლში 5 ბინაზე ნაკლებია ამ შემთხვევაში უნდა მოიწვიონ 2—3 ან მეტი სახლის მცხოვრებნი.

**განცხადების ნიმუში:**

**განცხადება**

ყველა (სახელი და გვარი სახლის პატრონისა) სახლში

№——„——————ქუჩაზე მცხოვრებნი, მოწვეულია ორგანიზაციულ კრებაზე, რომელიც მოხდება ბინის №-ში (აღნიშნოს რიცხვი, დღე, დრო)

**დღის წესრიგი:**

1) სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტი.

2) სახლის კომიტეტის არჩევნები.

**საინიციატივო ჯგუფი.**

კარგი იქნება თუ კრებას საღამოთი ან კვირა დღეს მოიწვევენ.

ორგანიზაციულ კრებაზე ერთი ინიციატორთაგანი ხსნის სხდომას და წინადადებას აძლევს კრებას ამოირჩიოს კრების თავმჯდომარე და მდივანი. ეს უკანასკნელი იწერს კრებაზე მოსულთა სახელსა და გვარს, ბინის ნომერს, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ და ადგენს კრების ანგარიშს.

კრების თავმჯდომარის არჩევის შემდეგ ერთ-ერთ ინიციატორთაგანს ეძლევა სიტყვა, რომელიც გააცნობს დამსწრეთ სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტს.

**შენიშვნა:** დიბეჭდილი წესდების პროექტის უფასოთ მიღება შეიძლება საუბნო საბარათო ბიუროებში. წესდების შესახებ აზრების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას ამოირჩიოს კომიტეტი. კომიტეტში არჩეულ წევრთა რიცხვი უნდა განისაზღვროს წესდების თანახმათ

კომიტეტის ამორჩევის შემდეგ დამსწრენი ხელს აწერენ საუბნო სასურსათო კომიტეტში ჩასარიცხათ წარსადგენ განცხადებას.

## განცხადების ნიმუში.

მე . . . . . . . უბნის სასურსათო კომიტეტს.

. . . . . . . ქუჩაზე სახ. მე-№-ში.

მცხოვრებთაგან

**განცხადება**

გვაქვს პატივი ამით გაცნობოთ, რომ ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი შევიკრიბეთ (რიცხვი) 1918 წ. და ამოვირჩიეთ (კომიტეტის წევრთა რიცხვი) შემდგარი კომიტეტი, სახელდობ (ჩამოითვალოს ამორჩეულთა სახელი და გვარი).

(აქ მიყვება დამსწრეთა სახელი და გვარი).

—— . . თვე . . დღე 1918 წელი. (3—2)